ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 3
(11 460)

12 – 15 იანვარი, 2001 წ. ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



საით იმზირებიან განწირული მერნები?

# „...და ნიავს მიეც ფიქრი შენი, შავად მღელვარი!...“

## SOS

ჩვენი სასიქადულო პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი ლექსის ამ სიტყვებით გვინდა წერილის დასაწყისშივე მივმართოთ ფოთის იმ სახელმწიფო მოხელეებს, რომლებსაც ამ ქალაქში საცხენოსნო ტრადიციების საბოლოო ამოძირკვა-დასამარება განუზრახავთ. ნამდვილად „შავად მღელვარე ფიქრები“ გასჩენიათ ჩვენს ზღვისპირელ „პატრიოტებს“. საქართველო და, მით უფრო სამეგრელო, წარმოუდგენელია ცხენოსნობის გარეშე. ეს ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობაა და ახლა, XXI საუკუნის გარიჟრაჟზე, თურმე მავანთა პიროვნული შეხედულებით შეიძლება დაესვას წერტილი მრავალათასწლოვან ისტორიას.

დიახ, ცხენოსნობა ძვირადღირებული სპორტის სახეობაა, ქვეყანას უჭირს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ტრადიციებზე უარი ვთქვათ. რატომ მივდივართ იოლი გზით, ანუ რატომ მოითხოვენ ფოთში, მთელს სამეგრელოში ამ ერთადერთი, შემორჩენილი, მოქმედი საცხენოსნო ბაზის გაუქმებას და არ ეძიებენ ალტერნატიულ გზას, რატომ არ ზრუნავენ მის გადარჩენაზე? თუ გული გულობს და ტრადიციების პატივისცემა ჯერ ისევ შემოგვრჩენია, სხვა გამოსავლის გამონახვაც შეიძლება. ამ ოთხი წლის წინათ, სპორტის დეპარტამენტის თბილისის საცხენოსნო ბაზის ლიკვიდაციის საკითხიც დადგა დღის წესრიგში და, თავის ქებაში არ ჩაგვეთვლება თუ ვიტყვით, რომ მაშინ „ლელომ“ ბაზის გადარჩენა-შენარჩუნების ვარიანტი შესთავაზა დეპარტამენტს, რაც საბოლოოდ საქმის სასიკეთოდ დასრულდა – თბილისის საცხენოსნო ბაზა ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა შს სამინისტროს შინაგან ჯარს, რომელიც ბაზის მზრუნველ მეპატრონედ იქცა და ცხენმხედართა შემადგენლობაც შენარჩუნებულია. არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ფოთში უკეთეს გამოსავალს ვერ გამონახავენ, ვიდრე ბაზის გაუქმებაა. არადა, წლეულს, სწორედ ამ ქალაქში იგეგმებოდა საქართველოში ცხენოსანთა პირველი საერთაშორისო ასპარეზობის ჩატარება. ფოთელი მხედრების მონაწილეობა უნარჩუნებს სტატუსს საქართველოს პირველობას, აღარ იქნება ფოთში ცხენოსნობა და მორჩა... მშვიდობით, ეროვნულო ჩემპიონატებო!

როგორც შევიტყვეთ, ფოთის საცხენოსნო ბაზის დახურვა, განსაკუთრებით ქალაქის მერიის ერთ-ერთ ხელმძღვანელს დაუჟინია. მისი ვინაობა ჯერ არ დაგვისახელეს, მაგრამ არც ამის დაზუსტება გაგვიჭირდება, თუ საჭირო გახდა. მანამდე კი კიდევ ერთხელ მივმართავთ ამ „პატრიოტ“ ხელმძღვანელს... „ნიავს მიეც ფიქრი შენი, შავად მღელვარი!“

# მიხეილ მესხი – ხალხის მარადიული სიყვარული!




## ირაკლი მექმარიაშვილი.
### საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე

დღეს 12 იანვარია. არ ვიცი ვინ რა მოგონებას უკავშირებს ამ რიცხვს, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთის მოყვარულებისთვის ესაა ღირსსახსოვარი თარიღი – მიხეილ მესხის დაბადების დღე!

სპორტი ბევრ ლეგენდას იცნობს, ერთი მათგანია მიხეილ მესხი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, ზოგადად, ფეხბურთის ისტორიაში. ყველგან ასეა, დიდი ფეხბურთელი ისე, როგორც დიდი პოეტი თუ ხელოვანი ეროვნული წიაღიდან მოდის, ერის საუკეთესო გენის მატარებელი და ტრადიციების ღირსეული მემკვიდრეა. ქართულ ფეხბურთში ასე მოვიდა მიხეილ მესხი, მოვიდა თამამად, ამაყად თავაწეული, საკუთარი ხელწერით, ფინტებითა და დრიბლინგით, რომელიც მხოლოდ მისეული იყო, მოვიდა და თან მოიტანა ბობოქარი საფეხბურთო ეპოქა ახალი განცდებით და ახალი მუხტით, მანამდე უხილავი სილამაზითა და მშვენიერებით. მიხეილ მესხის თამაშის მანერა, ანუ მესხისეული ფეხბურთი, მაინც სულ სხვა, განსაცვიფრებლად გამორჩეული იყო. კლასიკური გაგებით ფეხბურთი არ არის ხელოვნება, მაგრამ იგი ხელოვნების დონემდე აიყვანა მიხეილ მესხმა, ფეხბურთის ამ განუმეორებელმა ჯადოქარმა. იქნებ ამიტომაც მისი გაწუყრელი მეგობრები იყვნენ კულტურისა და ხელოვნების საუკეთესო წარმომადგენლები. მისი თამაშის ხილვა ადამიანებში რაინდულ სულს აღძრავდა, ეროვნული ღირსების სიამაყეს განაცდევინებდა, ის, ჩვენთვის, ახალგაზრდებისთვის ნამდვილი კერპი გახლდათ, შეუძლებელი იყო ვინმეს ამბიციურობა შეეყროდა, როცა აგერ, ჩვენს გვერდით ცხოვრობდა ცოცხალი ლეგენდა, საოცარი თავმდაბლობით და კეთილშობილებით გამორჩეული პიროვნება – მიხეილ მესხი!

ახლა ხშირად გაიგონებთ სინანულით ნათქვამ სიტყვებს, რომ ფეხბურთელთა ძველ თაობებს არ ჰქონდათ არჩევანის უფლება ეთამაშათ სხვადასხვა ქვეყანაში. მართლაც, ვინ, რომელი ქვეყანა არ ინატრებდა მიხეილ მესხს და ნატრულობდნენ კიდეც, მაგრამ მისი და სხვების ელვარე ნიჭი თავისი ქვეყნის ნაჭუჭში ჩატოვა იმდროინდელმა ცხოვრებამ. ალბათ, ბევრს ახსოვს მიხეილ მესხს „ქართველი გარინჩა“ რომ შეარქვეს, მაგრამ პრესის ფურცლებზე შემორჩა სამხრეთამერიკელი ჟურნალისტების ასეთი ავტორიტეტული შეფასებაც: „რაც მიხეილ მესხმა გააკეთა, მას ვერც ერთი გარინჩა ვერ გააკეთებს“. მეტი რა უნდა ეთქვათ ფეხბურთის ამ უბადლო ოსტატის ნიჭის ავტორიტეტულ შემფასებლებს?

გენიალური პიროვნებები ვერ ეგუებიან რუტინას და დესპოტიზმს. მიხეილ მესხსაც არაერთგზის უსამართლოდ ატკინეს გული შინაურმა თუ საბჭოთა კავშირის მწვრთნელებმა.

მიშა მესხმა ისევე ნაადრევად დატოვა ამქვეყნიური ცხოვრება, როგორც ფეხბურთი!

დიდი ფეხბურთიდან წასულს იმდროინდელი საქართველოს სპორტკომიტეტის ხელმძღვანელებმა მიშა მესხს ბავშვთა საფეხბურთო სკოლა გაუხსნეს დიღომში. ბავშვებთან მუშაობა ერთადერთი ნუგეში იყო გულნატკენი ფეხბურთელისთვის. სკოლას სახელიც თავად შეურჩია – „ავაზა“. მას შემდეგ 30 წელიწადი გავიდა. ჟურნალ „მართვეს“ შეკითხვაზე თუ რა აზრისაა ქართული ფეხბურთის ხვალინდელ დღეზე, მიხეილ მესხმა 1975 წელს, როცა ის უკვე „ავაზას“ საფეხბურთო სკოლის დირექტორი იყო, უპასუხა: ***„ჩვენი ხვალინდელი დღე ჩვენი მომავალი თაობაა და ამიტომ ბავშვთა ფეხბურთი უნდა იყოს დღეს ამ სახეობის ყველა პატრიოტის მთავარი ყურადღებისა და მზრუნველობის ობიექტი. ამ მხრივ კი ბევრი რამაა გასაკეთებელი“.*** გავიდა მეოთხედი საუკუნე და ფეხბურთის დიდოსტატის ეს სიტყვები კვლავ აქტუალური რჩება. დიახ, ფეხბურთის ყველა დროის პატრიოტებს მიხეილ მესხმა ანდერძივით დაუტოვა ბავშვთა ფეხბურთზე ზრუნვა. ვერ ვიტყვით, რომ დღეს ბავშვთა ფეხბურთი ხელმიშვებულია, პირიქით, ბევრი რამ გაკეთდა. მაგრამ მეტია საჭირო მიხეილ მესხის გენის მატარებელ ქვეყანაში. ბევრს ახსოვს ალბათ, თავად მიხეილ მესხი ფეხბურთს ეზიარა ნაძალადევის ერთ-ერთ ხევში თანატოლებთან ერთად გაწმენდილ ადგილზე აღმოცენებულ პატარა მოედანზე. მერე თბილისში უამრავი საბავშვო მოედანი გაჩნდა საცხოვრებელ უბნებში, რომელთა უმეტესობა, სამწუხაროდ, დღეს არადანიშნულებითაა გამოყენებული ან, საერთოდ, გაუქმებულია. გაისად მიხეილ მესხის დაბადებიდან 65 წლისთავი სრულდება. ქართული ფეხბურთის ყველა პატრიოტის მოვალეობა უნდა იყოს არა თუ აღვადგინოთ თბილისში, და არა მხოლოდ თბილისში, ბავშვთა საფეხბურთო მოედნები, არამედ, კიდევ უფრო გავზარდოთ მათი რიცხვი. მოდით, ასე შევთანხმდეთ, გამოვაცხადოთ 2001 წელი ზემოხსენებული მოედნების ბავშვებისთვის დაბრუნებისა და ახალი მოედნების გაშენების წლად, რითაც შევასრულებთ მიხეილ მესხის ნაანდერძევ სურვილს და პირნათელნი შევხვდებით მისი დაბადებიდან 65 წლისთავს.

ვერ გავბედავ და ვერ ვიტყვი, რომ მესხი მომავლის ფეხბურთს თამაშობდა, რადგან არავინ იცის, კიდევ როდის დადგება ჟამი, ვინმე მესხზე უკეთ რომ წარმოუდგენს მის უდიდებულესობა ფეხბურთს თანამედროვეთ. ანდა, მოვა კი საერთოდ ასეთი დრო?



*მიხეილ მესხი (მარცხნივ) და გარინჩა*





# მთის რაინდებო, გაერთიანდით!

2




კოლუმბია
11-29.07. 2001
წლისყრა

7

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 3 წელიწადი და 7 თვე დარჩა

...სიდნეის ოლიმპიადამ დაადასტურა, რომ ამოუწურავია საქართველოს სპორტული პოტენციალი: ყოველ სოფელში და, რა თქმა უნდა, ქალაქში მოიძებნება ნამდვილად ჭეშმარიტი ტალანტი.

*ე. შევარდნაძე*

## ოლიმპიზმი
## თამაშები „გადატვირთულია"

ლოზანაში გამართულ სოკ-ის 111-ე სესიის გადაწყვეტილებით 2004 წლის ზაფხულის თამაშები ათენში არ გაფართოვდება. ვარაუდობდნენ, რომ პროგრამაში შეიტანდნენ წყალთხილამურებით ასპარეზობას, რომელიც ძალზე პოპულარულია საბერძნეთში, მაგრამ ვერ შევიდა ოლიმპიურ ოჯახში: სახეობათა რაოდენობა იგივე დარჩება, როგორიც სიდნეიში იყო — 28. ამგვარად, XVII ოლიმპიადის დებიუტანტმა — ტრიატლონმა, ბატუტმა და ტაეკვანდომ შეინარჩუნა ოლიმპიური სტატუსი. სოკ-ის გენერალურმა მდივანმა ფრანსუა კარარმა პროგრამის გაფართოების შეზღუდვის მთავარ მიზეზად თამაშების მასშტაბურობა დაასახელა: ოლიმპიადა-2000-ში 11000 ათლეტი გამოდიოდა. „ავტობუსი გადაიტვირთა, — იხუმრა ბ-ნმა კარარმა, — კარი იხურება". მაგრამ აქვე აღნიშნა, რომ თამაშები — 2008-ის ორგანიზატორებს შეუძლიათ იქონიონ პროგრამის გაფართოების ან შეცვლის იმედი.

## 20-29 იანვარს: საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალი „მართვე" – XXI საუკუნე!"

მდიდარი სპორტული ტრადიციების ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 20-29 იანვარს, საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალს უმასპინძლებს დევიზით: „მართვე" – XXI საუკუნე!". მსოფლიოში პირველად სწორედ ამ ტურნირზე გაიმართება საჩვენებელი მატჩი ფიდეს ახალი წესებით. სპარინგ-პარტნიორები იქნებიან ცნობილი დიდოსტატები ბუხუტი გურგენიძე და ზურაბ აზმაიფარაშვილი.

ფესტივალი ჩატარდება 7 ასაკობრივ ჯგუფში: „ა" ტურნირი ვაჟთა და ქალთა შორის, 16, 14, 12, 10, 8 წლის ჭაბუკთა და გოგონათა ტურნირი და 50 წლის ზევით ბატონებისა და ქალბატონების შეჯიბრება. მთავარი მსაჯია, საერთაშორისო არბიტრი ევგენი მელიქსედ-ბეგი.

თსუ-სა და საჭადრაკო სკოლა „მართვეს" ფესტივალის ჩატარებაში მხარში უდგანან მოქკავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაცია და განათლების სამინისტრო.

რეკლამის, მონაწილეობის ან სპონსორობის მსურველებმა დარეკეთ: 899.101.650; 899.567.686; 252.527; 990.258.

# მთის რაინდებო, მოდით, ბარშიც ერთად იარეთ!



ნათქვამია, მწვერვალზე მიმავალნი ერთ თოკში ჩაბმულები და დაზვერვაზე ერთი დავალების შესასრულებლად ყველასთან ერთად არ მიდიანო!

ერთიანობის და ნდობის სურვილი კიდევ ერთხელ გაჩნდა, როცა ამ ორიოდე დღის წინ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა თავისთან მიიწვია ის ადამიანები, რომლებისთვიაც მთამსვლელობის და მეკლდეურობის, მთაში სამაშველო სამუშაოების თუ სამთო ტურიზმის პრობლემები, ყველაზე უკეთაა ცნობილი. ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, რომლის გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატური ზონები და მთის მასივები უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის გასავითარებლად. „ლელომ" ბოლო ხანებში ორი პუბლიკაცია მიუძღვნა ამ საკითხს. მაგრამ, რაც მთავარია, არსებობს საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 24 აგვისტოს ბრძანებულება „საქართველოში სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის განვითარების ხელშემწყობ ღონისძიებათა შესახებ". მოკლედ, დადგა დრო მივხედოთ ეროვნულ პრობლემებს. მით უფრო, თუ იგი ქვეყნის თავდაცვითუნარიანობის განმტკიცებას უკავშირდება.

ირაკლი მეძმარიაშვილის პოზიცია გასაგებია: ის თავს მოვალედ თვლის ღრმად ჩასწვდეს იმ სფეროში მიმდინარე პროცესებს, რომლის ხელმძღვანელობა სახელმწიფომ მას მიანდო ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ამ რთულ ეტაპზე. პირდაპირ გეტყვით: ძალიან დიდი იყო ცნობისმოყვარეობა, თუ როგორ შეაფასებდა ახალი ხელმძღვანელი ვითარებას, მას შემდეგ, რაც მიწვეულთაგან ამომწურავი ინფორმაცია მიიღო, ჩვენ კი ვიცოდით, რომ დაპირისპირებამ ამ ჯანსაღ სფეროშიც მოიკიდა ფეხი. ჟურნალისტს აქვს შეფასების, დასკვნის გამოტანის თუ კომენტარის უფლება და თუ, იქნებ სხვა დროს თავს შევიკავებდით, ახლა ვიტყვით: ირაკლი მეძმარიაშვილმა რეალურად შეაფასა სიტუაცია და ეს შეხვედრა საკმარისად არ ჩათვალა თავისი პოზიციის დასაფიქსირებლად (ძნელი მისახვედრი არ იყო — დაინახა აშკარა გათიშულობა) და სამუშაო ჯგუფი შექმნა, რომელმაც ერთმანეთს უნდა დააახლოვოს განსხვავებული პოზიციები საერთო საქმის სასიკეთოდ. მერე კი შედგება ახალი შეხვედრა და, იმედია, საერთო ინტერესების გამომხატველი ყრილობაც ჩატარდება, რომელიც, „მთის სამყაროს" წარმომადგენლებს შეკრავს და გააერთიანებს. ბოლოს და ბოლოს, სარბიელზე გამოვა ავტორიტეტული ორგანიზაცია, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტთან ერთად გადაჭრის ყველა პრობლემას, თუნდაც ზემოხსენებული ბრძანებულების შესასრულებლად. მოკლედ, მოდით, მთის რაინდებო, ბარშიც ერთად იარეთ ერთი მიზნისათვის.

**თ. თომაშვილი**

## კახიაშვილის(ის) საჩუქარი ქართველ ძალოსნებს

თურმე სპორტსმენებს შეიძლება არა მხოლოდ ფული, სპორტული ინვენტარი და სხვა ფასეულობა, არამედ სპორტული შეჯიბრებაც აჩუქო. სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა კახი კახიაშვილისმა, ჩვენი ფედერაციის თანადგომით თბილისში, დეკემბრის ბოლოს, ძალოსნობის ცენტრალურ დარბაზში, თავისი სახელობის პირველი ტურნირი ჩაატარა, რომელშიც დედაქალაქის, ქუთაისის, აჭარის, რუსთავის, ზუგდიდისა და სამტრედიის ძალოსნები მონაწილეობდნენ. დიდი ხანია ასეთი მასშტაბის შეჯიბრება ჩვენში არ ჩატარებულა, ამიტომ იქცა იგი ძალოსანთა ნამდვილ ზეიმად. ასპარეზობას ვეტერანი სპორტსმენებიც ესწრებოდნენ. მთავარი მსაჯი კი ოლიმპიური პრიზიორი გიორგი ასანიძე იყო. ტურნირი ტრადიციულად დამკვიდრდება.

***გავაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს: 56 კგ:*** 1. რაულ ცირეკიძე (ქუთ.), 2. ზურაბ ჩხუბიანაშვილი (თბ), 3. ზაზა აბულაძე (აჭარა); ***62 კგ:*** 1. პაატა მოდებაძე, 2. პაატა გეგეშიძე, 3. იაგო აბზიანიძე (სამივე — ქუთ.); ***69 კგ:*** 1. მამუკა ბრეგვაძე (თბ), 2. ომარ კირვალიძე (რუსთ), 3. ირაკლი ლომთაძე (ქუთ); ***77 კგ:*** 1. დავით პავლიაშვილი (თბ), 2. გელა სიხარულიძე (ქუთ), 3. თემურ ჩხეიძე (ზუგ.); ***85 კგ:*** 1. ბადრი კუპრაძე, 2. პაატა გიორბელიძე (ორივე — ქუთ); 3. თემურ გოგია (ზუგ); ***94 კგ:*** 1. გია სარავა (ქუთ), 2. გია რატიანი (რუსთ), 3. გია მაჭავარიანი (თბ); ***105 კგ:*** 1. ზ. ავთანდილაშვილი (თბ), 2. ნუკრი ვაშაკიძე (სამტრ), 3. დათო ნარიმანიძე (თბ). ***105 კგ***-ზე ზევით უკონკურსოდ ასპარეზობდა თბილისელი ალეკო ნოზაძე.

**მაგიდის ჩოგბურთი** **თბილისის ღია პირველობა**

## მისამართი უცვლელია – თბილისი!

მასპინძელთა გარდა ამ ასპარეზობაში ქუთაისის, რუსთავის და ბორჯომის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ჯერჯერობით ისევ თბილისი რჩება ერთად-ერთ ქალაქად, რომელიც სისტემატურად ატარებს ღია პირველობებს და ქვეყნის სხვა რეგიონების წარმომადგენლებსაც აძლევს თავის გამოჩენის შესაძლებლობას. საქართველოს ჩემპიონატები და პირველობები ხომ კარგა ხანია აღარ იმართება უსახსრობის გამო. ასე იყო 2000 წლის ჩათვლით. გვპირდებიან, რომ 2001 წლიდან ადრინდელი სავალალო ვითარება თანდათან გამოსწორდება.



*კოტე ხარატი (მარცხნივ) და ვანო სალუქვაძე*

**კვარცხლბეკი.** ***გოგონები:*** 1. ქანა აკოპიანი, 2. ლიკა ტარუღიშვილი (ორივე — თბ), 3. ნინო ჯახუა (ქუთ); ***ბიჭები (1990 წ. დაბადებულები და უმცროსები):*** 1. დათო ნოზაძე (რუსთ), 2. ვერაბ კაზარიანი, 3. გიორგი პოლოსიანი (ორივე — თბ); ***1988-89 წწ. დაბადებულთა შორის:*** 1. ვანო სალუქვაძე, 2. თამაზ ალექსიძე, 3. დავით ურუშაძე (სამივე — თბ); ***1984-87 წწ დაბადებულთა შორის:*** 1. კოტე ხარატი (თბ), 2. ლევან ფირცხალავა (რუსთ), 3. გიორგი ბოჭორიშვილი (ქუთ); ***ვაჟები:*** 1. ვახტანგ იმერლიშვილი, 2. სერგეი იალიშევი (ორივე — თბ), 3. დავით ბარბაქაძე (ქუთ).
შეჯიბრებაში 49 სპორსტმენი მონაწილეობდა.

**ღვაწლი**

## ჩვენი საწუხარიც ეს არის, ბატონო ნიკოლოზ!

ამ ადამიანს, რომელმაც მთელი ცხოვრება გაატარა საქართველოს სპორტული მოძრაობის სამსახურში, შეუძლია თამამად განაცხადოს, რომ პირნათლად მოიხადა ვალი ქვეყნის წინაშე.

მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლგამოვლილმა დიდხანს იმუშავა სპორტულ ორგანიზაციებში ინსტრუქტორად, მათ შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში, სადაც საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე დააწინაურეს. ეს ის წლებია, როცა საქართველოში ალმავლობას განიცდის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა გიორგი სიხარულიძის თავკაცობით. შემდეგ მთელი 25 წლის განმავლობაში სასოფლო სპორტს ემსახურა — სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე.

უნარიანმა ხელმძღვანელმა დიდი წვლილი შეიტანა სპორტის სფეროში ფიზკულტურულ— სპორტული კადრების აღზრდის, შერჩევისა და განაწილების საქმეში. ბევრი ახალგაზრდა გაიყვანა ცხოვრების დიდ გზაზე. მის სახელს უკავშირდება სოფლად ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის წინსვლა და სპორტული სკოლების გახსნა. მისი უშუალო მონაწილეობით და ხელმძღვანელობით მესტიაში აშენდა ჭიდაობისა და კრივის დარბაზები, ჭიდაობის დარბაზები საგარეჯოსა და კასპში, საწყლოსნო კომპლექსი ხობში და ა.შ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ნ. სომხიშვილის დამსახურება სოფლად სპორტის ეროვნული სახეობების აღორძინებაში, მასობრივი შეჯიბრებების ორგანიზებაში. ამ მეტად საშურ საქმეს სამი ნაშრომი მიეძღვნა, მისი თანაავტორობით და რედაქტორობით, რაც დიდად წაადგა სპორტის ეროვნულ სახეობათა და ხალხურ თამაშობათა პროპაგანდისტებს და პრაქტიკოსებს. თავადაც, როგორც ეროვნული კატეგორიის მსაჯს ფეხბურთსა და სპორტის ეროვნულ სახეობებში, არაერთი სპორტული ღონისძიების ორგანიზებასა და ჩატარებაში მიუღია მონაწილეობა.

ამგვარი ადამიანების ღვაწლი შეუფასებელი არასდროს რჩება. ნ. სომხიშვილს, სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის თავის დროზე ერთ-ერთ პირველს მიენიჭა „საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის" წოდება, დაჯილდოებულია მრავალი მედლით, საპატიო ნიშნებით, მთავრობის სიგელით, შარშან, როგორც ომის ვეტერანმა, ქვეყნის პრეზიდენტის მადლობაც მიიღო.



*ნიკოლოზ სომხიშვილი*

დღეს უკვე 75 წლის ღვაწლმოსილი ადამიანი, ჭეშმარიტ მამულიშვილებთან ერთად წუხს ქართული სპორტის ბედზე, მისთვის დაუჯერებელია, რომ თაობათა ნალვაწის შენარჩუნებას საფრთხე ემუქრება, რომ მოუვლელობით პარტახდება სპორტული ბაზები, იხურება სპორტული სკოლები და მინიმუმამდე დავიდა საერთოდ, სპორტში მომეცადინე მოზარდთა რიცხვი.

ჩვენი საწუხარიც ეს არის, ბატონო ნიკოლოზ!

**იროდი ბეჟაშვილი,**
სპორტსაზოგადოება „შევარდენის" საორგანიზაციო-მასობრივი მუშაობის სამმართველოს უფროსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

### წერილი რედაქციას!

## დააკვირდით, მწვრთნელები შინ ბრუნდებიან!

იქნებ ჩემს განცდებს არ ჰქონდეს ისეთი რეზონანსი, რომელიც სხვებსაც დააინტერესებს, მაგრამ არ შემიძლია არ გაგიზიაროთ ის აღფრთოვანება და სიხარული, რაც ჩემში გამოიწვია თქვენი გაზეთის მიმდინარე წლის მე-2 ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა, რომელმაც თბილისის „ლოკომოტივში" გივი ნოდიას დაბრუნება გვამცნო. გაგიკვირდებათ ალბათ, რა არის ამაში გასაოცარიო. მე დავინახე გასაკვირიც, გასაოცარიც, საამაყოც და, თქვენ წარმოიდგინეთ, გასახარიც. აი რა: გასულ წლებში, მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, საქართველოდან უწყვეტ ნაკადად გაედინება ეროვნული სპორტული ინტელექტი, ძირითადად სპორსტმენებსა და მწვრთნელებს ვგულისხმობ. ფეხბურთში, დაგვეთანხმებით, ამ მხრივ სარეკორდო მაჩვენებელია. გივი ნოდიას სამშობლოში დაბრუნებამ მიკარნახა გადამეხედა ზემოხსენებულ ტალანტთა „გადინების" პოზიციისთვის და შევაჯერე რა ანალოგიური ფაქტები (იგივე ძოძუაშვილი, ყიფიანი და სხვა მწვრთნელებიც გავიხსენე), გახარებული დავრჩი — ქართული საფეხბურთო მწვრთნელები თავის ქვეყანას უბრუნდებიან. რამდენადაც ვიცი, ამაში დიდია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამსახურება. მადლობის მეტი რა გვეთქმის!

**ნოდარ გველესიანი, თბილისი**

## სფფ ურჩ გადამხდელებს დასჯის

იმასთან დაკავშირებით, რომ ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს, I და რეგიონულ ლიგაში მონაწილე კლუბებს აქვთ სხვადასხვა სახის დავალიანებები (საწევრო თანხა, საჯარიმო სანქციები, სატრანსფერო მომსახურების თანხები) და მითითებულ ვადებში არ გადაიხადეს, 8 იანვარს სფფ-ს საგანგებო კომიტეტმა (მ. ჟორდანია, ა. ჩივაძე, ვ. ჩოლარია) დაადგინა:

***უმაღლესი, I და რეგიონული ლიგის კლუბი, რომელსაც აქვს დავალიანება, არ იქნება დაშვებული 2001 წლის პირველივე კალენდარულ მატჩზე და მას ჩაეთვლება დამარცხება 0–3, ხოლო თუ იგივე კლუბი მომდევნო მატჩამდეც არ დაფარავს დავალიანებას, ავტომატურად მოიხსნება გათამაშებიდან.***



მამუკა კვარაცხელია

## ქართულ ფეხბურთს უეფაში უკვე სამი წარმომადგენელი ეყოლება

გუშინ, უეფას მედია-დირექტორისგან ფრიც ალსტრიომისგან სფფ-ს პრეზიდენტის მერაბ ჟორდანიას სახელზე ფაქსი მოვიდა, რომელიც იუწყება, რომ სფფ-ს პრეს-ატაშე მამუკა კვარაცხელია მიწვეულია უეფას მედია – ოფიცრების ყოველწლიურ სამუშაო შეკრებაზე 2001 წლის 12-13 ივნისს. შეხვედრა უეფას შტაბბინაში, ქალაქ ნიონში გაიმართება.

ეს ფაქსი ქართული ფეხბურთის უეფაში ინტეგრაციის კიდევ ერთი დასტურია. ევროპული ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციაში კარგა ხანია თანამშრომლობენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, რომელიც საფეხბურთო მეურნეობის ორგანიზაციულ მოწყობაზე ლექციებს კითხულობს სემინარებსა და პროგრეს-კურსებზე, ხოლო სფფ-ს საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე დავით პეტრიაშვილი ჩემპიონთა თასისა და ევროპის ჩემპიონატის მატჩების დირექტორია, ამავე დროს იგი უეფას სამოყვარულო კომიტეტის წევრია.

## მინიფეხბურთში მსაჯთა ხსოვნის ტურნირი

ეს ტურნირი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ინიციატივით მეორედ იმართება, ამჯერად, მასში იასპარეზებს 8 გუნდი. შეჯიბრების მთავარი მსაჯია ფიფას არბიტრი კარლო ყრუაშვილი.

ტურნირს არმიის სპორტული კლუბის სპორტული კომპლექსი უმასპინძლებს 2-5 თებერვალს.

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის მიმართვა

### უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბებისა და გუნდების ხელმძღვანელებისადმი

სფფ-ს სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტი მზადაა უსასყიდლოდ ჩაატაროს თქვენი კლუბის ფეხბურთელებთან და მწვრთნელებთან მეცადინეობა-საუბრები ფიფას და უეფას მიერ სპეციალურად გამოგზავნილი ვიდეომასალის ჩვენებით. 1998 წლის მსოფლიო და 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის თამაშებიდან, სადაც განხილულია ფიფასა და უეფას მიერ შემოტანილი ყველა სიახლე, რაც დაგეხმარებათ ეროვნული ჩემპიონატისა და საერთაშორისო მატჩებისათვის უკეთ მომზადებაში.

კომიტეტი ასევე მზადაა მოავლინოს მსაჯები მნიშვნელოვან საკონტროლო თამაშებზე.

გთხოვთ ა/წლის 25 იანვრამდე გვაცნობოთ თქვენთვის სასურველი თარიღი მეცადინეობის ჩატარებისათვის და წარმოგვიდგინოთ საკონტროლო მატჩების განრიგი.

## ბავშვთა ფეხბურთის პრობლემებზე მწვრთნელთა საბჭოც იმსჯელებს

10 იანვარს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სააქტო დარბაზში პირველი სხდომა გამართა ფეხბურთის ფედერაციის ფეხბურთის განვითარებისა და საშეჯიბრო კომიტეტთან არსებულმა მწვრთნელთა საბჭომ. სხდომამ კარგა ხანს გასტანა, რაც განსახილველ საკითხთა სიმრავლემ განაპირობა.

ბავშვთა ფეხბურთში მომუშავე მწვრთნელთა საბჭო საკმაოდ წარმომადგენლობითია, იგი ისეთივე პრინციპით იმუშავებს, როგორც სფფ-ს ნაკრები გუნდების კომიტეტის მწვრთნელთა საბჭო და, როგორც სხდომამ დაადგინა, კვარტალში ერთხელ გაიმართება.

ბავშვთა ფეხბურთში არსებულ პრობლემებზე სერიოზული სჯა-ბაასი შედგა. შარშანდელი შედეგები შეაჯამა საბჭოს კურატორმა ჯუმბერ თანანაშვილმა. განვლილ ჭაბუკთა პირველობები (ბავშვთა ლიგა, გ. ჩოხელის, მ. მესხის, ს. მეტრეველის თასების პირველი წრის შედეგებზე ილაპარაკეს ბადრი ქარქაშაძემ და ავთანდილ გრეკოვმა. არსებულ პირველობებს წლეულს კიდევ ორი შეემატება: 1984 წელს დაბადებული ჭაბუკები ფეხბურთის მეცენატის აწ გარდაცვლილი თემურ გიორგაძის სახელობის პირველობას გაითამაშებენ. მარტში დაგეგმილი სფფ-ს, იუნისეფისა და ი. ნონეშვილის სახელობის საერთაშორისო ბავშვთა ფონდის მიერ ერთობლივად ორგანიზებული ტურნირი ჩატარდება მინი-ფეხბურთში საშუალო სკოლის გუნდებს შორის, მასში მონაწილეობას მე-6 და მე-8 კლასების მოსწავლეები მიიღებენ. ტურნირი რამდენიმე ეტაპად გაიმართება. ასევე მარტში დაიწყება 82-83 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა ბავშვთა ლიგის გათამაშება, სადაც 12 გუნდი ითამაშებს. ჯერჯერობით პროექტის დონეზეა 1985 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა ბავშვთა ლიგის გათამაშება, იგი სავარაუდოდ აგვისტოში დაიწყება. გივი ჩოხელის თასის გათამაშება სექტემბერში დაიწყება. მესხისა და მეტრეველის პირველობებს ტრადიციულად ფეხბურთის რეგიონული ფედერაციები ჩაატარებენ.



ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრე ჩივაძემ აღნიშნა, რომ მასობრიობა (ამჟამად ბავშვთა ფეხბურთში 21600 ფეხბურთელია ჩაბმული) მისასალმებელია, მაგრამ ამის ფონზე ინდივიდუალობა არ უნდა იკარგებოდეს. გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ მწვრთნელთა საბჭოს მუშაობამ უპირველესად ბავშვთა ფეხბურთის განვითარების მარეგულირებელი სისტემა უნდა შეიმუშაოს, ხელი უნდა შეუწყოს მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, უფრო ქმედითი უნდა გახდეს რეგიონების მუშაობა.

დამსწრე საზოგადოება ბავშვთა ფეხბურთში არსებულ მრავალ საჭირბოროტო საკითხებს შეეხო, ისეთებს, როგორიცაა გადაზრდილი ფეხბურთელები, სტადიონების მოწყობა, გადატვირთული კალენდარი, საწვრთნელ-მეთოდური სწავლების საკითხები და სხვა.

მწვრთნელთა საბჭომ ერთხმად აირჩია თავმჯდომარე, იგი ქართულ ფეხბურთში კარგად ცნობილი პიროვნება, არაერთი გამორჩეული ფეხბურთელის (მათი უმეტესობა ეროვნული ნაკრების ღირსებას იცავს) აღმზრდელი ზურაბ მაისურაძე გახლავთ. რამდენიმე დღის წინ მას კიდევ ერთი საპასუხისმგებლო თანამდებობა ჩააბარეს, იგი საქართველოს მინიფეხბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდა. საბჭოში მუშაობისას ზურაბ მაისურაძის პარტნიორობას გაუწევენ: რევაზ გაგუა (დინამო თბ), ნოდარ აკობია (შევარდენი), მამული ჩაჩავა (მამული, რუსთავი), გიორგი ბურდული (კახეთი, თელავი), ლერმან ჯანელიძე (განათლება, ქუთაისი) კობა ჟორჟიკაშვილი (17 წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი), გელა გომელაური (19 წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი). კარლო მჭედლიძე (ოლიმპიკი, თბ). მევლუდ ლომიძე (ივერია, ხაშური), რომან ოდიკაძე (განათლება, ფოთი), ედიშერ კაკაბაძე (აჭარის რეგიონის კურატორი), გოჩა ჟორჟოლიანი (აფხაზეთის რეგიონის კურატორი), გია ჩარკვიანი (ასს, თბ), ომარ თოდუა (35-ე სკოლა, თბ), ირაკლი გორგოშიძე (35-ე სკოლა, თბ), გია გეგუჩაძე (სფფ), გია მაისურაძე (მთვარის გლობუსი, თბ), ჯემალ გოგია (სამეგრელოს რეგიონის კურატორი), თენგიზ სულაქველიძე (თ.სულაქველიძის აკადემია), ვალერი მანაგაძე (იმერეთის რეგიონის კურატორი), ჯუმბერ თანანაშვილი (სფფ). მწვრთნელთა საბჭოს მორიგი სხდომა აპრილში გაიმართება.

**საბა ლომინაძე**

## გაბელია „მერანი-91"-ს უთავკაცებს



ოთარ გაბელია

ცნობილი გახდა, რომ გუშინწინ თბილისის ს.კ. „მერანი-91"-ის საერთო კრებაზე განიხილეს გუნდის მთავარი მწვრთნელის დანიშვნის საკითხი. ამ პოსტზე დაამტკიცეს ჩვენი სახელოვანი ვეტერანი მეკარე ***ოთარ გაბელია***. საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დასაწყისში იგი სათავეში ჩაუდგა ზუგდიდის „ოდიშს", შემდგომში იგი მუშაობდა გურჯაანის „ალაზანში", მარნეულის „ალგეთში", ყვარლის „დურუჯში". თსუ-ში. პარალელურად გაბელია წლების მანძილზე აქტიურად მოღვაწეობს საქართველოს ნაკრებ გუნდებში.

## რა ითქმის ქართველ ლეგიონერებზე

ვლადიკავკაზის „ალანიის" მწვრთნელმა ალექსანდრ ავერიანოვმა დაახასიათა თავისი გუნდის ფეხბურთელები. „შახტარში" გადასულ მამუკა წერეთელზე მან თქვა, რომ შარშანდელი ჩემპიონატის მეორე ნახევარში ჯერ დანიაში წასვლის გამო საბრძოლო მზადყოფნის დონე გაიუარესა, შემდეგ კი ტრავმაც მიიღო. რაც შეეხება მიხეილ აშვეთიას, რომელმაც ჩემპიონატში 7 გოლი გაიტანა (ეს მეორე მონაცემია „ალანიისათვის", 10 გოლის ავტორი ბახვა თედეევი გახდა), იგი ჩემპიონატის დასასრულისათვის უკვე ჩინებულად გამოიყურებოდა. ახლა ქართველ ლეგიონერებს კიდევ ერთი დაემატა — მურთაზ შელია.

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ყოფილი ფეხბურთელი**

**ზაზა ელოშვილი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური თანაგრძნობას უცხადებს თბილისის საკრებულოს წევრს მაია ელოშვილს ძმის, ვეტერანი ფეხბურთელის**

**ზაზა ელოშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

# „ახალი ინგლისელები“ გზას მიიკვლევენ

**ინგლისური ფეხბურთის შედარებით მარცხიანი პერიოდი, ქვეყნის ექსპერტების აზრით, მალე დამთავრდება. ამის საბაბს იძლევა ბევრი ახალგაზრდა, უკვე საკმაოდ ძლიერი ოსტატის გამოჩენა, რომლებიც ეროვნული ნაკრებისაკენ მიიკვლევენ გზას.**

## მეკარეები

სამივე მეკარე წლების განმავლობაში რომ იცავდა ნაკრების კარს: დევიდ სიმენი, ნაიჯელ მარტინი და ტიმ ფლაუერსი, საცაა დაამთავრებენ კარიერას. ყოველ შემთხვევაში, ნაკრების ხელმძღვანელობას მათი იმედი ვეღარ ექნება. ამას ნაკრები, თუ მიმომხილველებს დავუჯერებთ, იოლად გადაიტანს, რადგან უკვე გამოჩნდნენ როი კლემენსისა და პიტ შილტონის ეპოქის გამგრძელებლები.

***რიჩარდ რაიტი.*** 23 წლის. თამაშობს „იფსვიჩ თაუნში“. მისი საორიენტაციო ფასია 10 მილიონი დოლარი. ახალგაზრდობის მიუხედავად, უკვე კლუბში ორასზე მეტი მატჩი გამართა. როცა ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობამ წარადგინა განაცხადი ევროპის 2000 წლის ჩემპიონატზე, იქ რაიტი მესამე მეკარედ იყო აღნიშნული. პირველივე მატჩში მოიგერია ორი პენალტი. ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ რაიტმა, რომელიც სრულიად დარწმუნებულია საკუთარ ძალებში, განაცხადა: „ჩემთვის რომ კიგანს კარის დაცვა მოენდო, ინგლისის ნაკრების შედეგები გაცილებით უკეთესი იქნებოდა“. ეს კიგანს ძალიან არ მოეწონა და ამის შემდეგ ნაკრებში რაიტი აღარ გამოუძახია. 2000-2001 წლების სეზონში რაიტი ბრწყინვალედ თამაშობს და ამის გამოც, პრემიერ-ლიგაში დაბრუნებული „იფსვიჩ თაუნი“ ესოდენ წარმატებით გამოდის! თამაშში იგი არც საკუთარ თავს ინდობს და არც მეტოქეებს. შეტაკებისას დააშავა „ასტონ ვილას“ ცნობილი ბელგიელი თავდამსხმელი ლიუკ ნილისი. მძიმე ხასიათი აქვს. მიმომხილველების აზრით, სწორედ რიჩარდ რაიტი უნდა იყოს ინგლისის განახლებული ნაკრების მეკარე.

***ნიკი ვივერი.*** 21 წლის. თამაშობს „მანჩესტერ სიტიში“. საორიენტაციო ფასია 3 მილიონი დოლარი. მეკარე გასაოცარი რეაქციით, აქვს ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემები, ხანდახან ისე კარგად თამაშობს, რომ მატჩის ბედს წყვეტს. მის მთავარ ნაკლად არასტაბილურობას თვლიან. შეიძლება აქ როლს ასრულებს მისი ნაკლები გამოცდილებაც. ჯერჯერობით, თუკი მატჩი მისთვის არასასურველად წარიმართა, შეიძლება ფარ-ხმალიც კი დაჰყაროს. ამ საყმაწვილო ავადმყოფობამ, ფსიქოლოგების ჩარევის შედეგად, ვივერს თანდათანობით უნდა გაუაროს და მაშინ ინგლისის ნაკრებს, რიჩარდ რაიტთან ერთად ნამდვილად ეყოლება პირველხარისხოვანი მეკარე.

***პოლ რობინსონი.*** 21 წლის. „ლიდს იუნაიტედი“, საორიენტაციო ფასი 2 მილიონი დოლარი. როცა ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს, ეს კიდევ არ ნიშნავდა, რომ კლუბის ძირითადი მეკარე გახდებოდა, რადგან „ლიდსში“ საიმედოდ თამაშობდა ნაიჯერ მარტინი. თითქოს რობინსონს უახლოეს ხანებში რაიმე იმედი არც კი უნდა ჰქონოდა, მაგრამ ამასობაში დაშავდა მარტინი. ამ მომენტისათვის რობინსონს სერიოზულ მატჩში არ ეთამაშა მთელი წელი, ამიტომ ძალიან ღელავდა და პირველივე შეხვედრაში გაუშვა გოლი... პირველი დარტყმის შემდეგ! შემდეგ ახალგაზრდა მეკარემ მოახერხა ნერვების დაოკება, ბრწყინვალედ წარმართა შეხვედრები სტამბოლის „ბეშიქთაშთან“, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და, განსაკუთრებით, „ბარსელონასთან“. რობინსონის ავტორიტეტი მკვეთრად გაიზარდა. როცა ნაიჯელ მარტინი დაბრუნდა, მას უკვე სერიოზული მეტოქე დახვდა. მწვრთნელი დევიდ ო,ლირი ახალგაზრდა მეკარის სერიოზულ ნაკლად მის ზედმეტ მხიარულებას მიიჩნევს. „დიდი ბავშვია, ხანდახან მოწაფესავით იქცევა“. დევიდ ო,ლირის აზრით, ასეთი არასერიოზულობა სოლიდური კლუბის მეკარეს უკვე აღარ შეეფერება.



მაიკლ ოუენი



ენდი კოული

## მცველები

როგორც მიმომხილველები ფიქრობენ, ნაკრების ახალი ხელმძღვანელობა თითქმის მთლიანად გადაახალისებს დაცვის ხაზს. აქ პერსპექტივას ვეღარ ხედავენ ისეთი ვეტერანებისათვის, როგორნიც ადამსი, კიოუნი, საუთგეიტი, გნებავთ, ძმები ნევილები არიან. ერთადერთი გამოცდილი მცველი, რომელმაც უნდა შეინარჩუნოს ადგილი ნაკრებში, თითქოს სოლ კემპბელია, თუმცა, მასაც ხშირად აკრიტიკებენ. ახალგაზრდა შემცვლელების რიცხვი საკმაოდ დიდია.

***რიო ფერდინანდი.*** 21 წლის, თამაშობს „ლიდს იუნაიტედში“. საორიენტაციო ფასია 25 მილიონი დოლარი. ითვლება დიდად პერსპექტიულ ფეხბურთელად. უკვე არაერთხელ ყოფილა ნაკრების წინასწარ შეკრებებზე, მონაწილეობდა მატჩებში, თუმცა აქამდე საბოლოოდ ადგილი ვერ დაიმკვიდრა. საქმე ის არის, რომ, როცა გადამწყვეტი შეხვედრების მომენტი დგება, ხელმძღვანელობა მაინც უფრო გამოცდილ მცველებს ენდობა. მისი გადაბირება ყოველთვის არაერთ კლუბს სურდა როგორც ინგლისში, ისე მის ფარგლებს გარეთაც. რა ნაკლი აქვს? ძალიან ხშირად იღებს ტრავმას, ერთგვარად უიღბლოც არის, „არსენალთან“ საკუთარ კარში გაიტანა გოლი.

***გარეტ ბარი.*** 19 წლის. ბირმინგემის „ასტონ ვილა“, 8 მილიონი დოლარი. მეტად ნიჭიერი ფეხბურთელი. მონაწილეობდა ევროპის ჩემპიონატში. უნივერსალური მცველია, შეუძლია ითამაშოს ფრთებზე და ცენტრშიც. რა ნაკლი აქვს? ერთგვარი დაკომპლექსება, სტანდარტული აზროვნება. ჯერჯერობით, მის წინააღმდეგ პირდაპირ „წამალია“ რაიმე უჩვეულო ტექნიკური ილეთის გამოყენება. ასეთი გზით შეიძლება ბარის ჯობნა, თუმცა მწვრთნელების დახმარებით ბარი, ეტყობა, ყოველგვარ ნაკლს დასძლევს და ნამდვილად პირველხარისხოვანი მცველი გახდება.

***ვეს ბრაუნი.*** 21 წლის. „მანჩესტერ იუნაიტედი“, 7 მილიონი დოლარი. მან უკვე „მოასწრო“ მძიმედ დაშავება, გამომჯობინდა, სწრაფად აღიდგინა საბრძოლო მზადყოფნა, ახლა ნაკრების კანდიდატად ითვლება. უკვე არ ჩამოუვარდება „მანჩესტერ იუნაიტედის“ არც ერთ მრავალნაცად მცველს, მაგრამ ალექს ფერგიუსონი ჯერჯერობით უფრთხილდება მას და ისე ხშირად არ ათამაშებს. იცის, როდის დადგება ბრაუნის დრო. ნაკლი სრულიად გასაგებია — არასაკმარისი სათამაშო პრაქტიკა და მიდრეკილება ტრავმისაკენ.

***ტიტუს ბრამბლი.*** 19 წლის. „იფსვიჩ თაუნი“. 17 მილიონი დოლარი. ეს შავკანიანი მცველი პირდაპირ შეიჭრა პრემიერლიგაში, სულ რამდენიმე დღის შემდეგ ყველასათვის უცნობი ფეხბურთელი ლიგის უძლიერესი მცველების რიცხვში მოხვდა. პერსონალური „მეურვეობის“ დიდი ოსტატია. ცნობილი გახდა იმით, რომ გასაქანი არ მისცა „მანჩესტერ იუნაიტედის“... მთელ თავდასხმას! ეს თვით ენდი კოულმაც აღიარა: „მოგვეწება და სულის ამოთქმის საშუალება არ მოგვცა“. მას დირიჟორის ტალანტიც აქვს, შეუძლია ზუსტი გადაცემებით მოამარაგოს თავდასხმა, დაიწყოს და გააგრძელოს იერიში. ერთი სიტყვით, დიდი მომავალი აქვს. ნაკლი? ზედმეტი ემოციურობა და კრიტიკის მიუღებლობა.

***ჯონათან ვუდგეიტი.*** 20 წლის, „ლიდს იუნაიტედი“, 7 მილიონი დოლარი. ახალგაზრდაა, მაგრამ პრემიერლიგაში და ევროპულ თასებზე მონაწილეობის საკმაო გამოცდილება აქვს. ისე კარგად თამაშობს თავით, რომ ამ მხრივ, თვით ინგლისშიც კი გამოირჩევა. თამაშობს მეტად ხისტად, ზოგის სიტყვით, დიდი სისასტიკითაც კი. მეტსახელი „ვუდი“ — ხისაგან გაკეთებული“. აი რას ამბობს მის შესახებ „ლიდს იუნაიტედის“ თავდამსხმელი მაიკლ ბრიჯესი“: „იმ მცველებიდან, რომელთანაც მინდორზე შეხვედრას არ ვისურვებდი, პირველ ყოვლისა, დავასახელებდი ვუდგეიტს. მადლობა ღმერთს, რომ ერთ გუნდში ვთამაშობთ. მაგრამ ვარჯიშებში სად გაექცევი. ცუდ საქმეს ცხოვრებაში კი აი რა გაუკეთებს — მეტისმეტად გატაცებულია გასართობი დაწესებულებებით, მაგარი სასმელებით და ა.შ. ამას წინათ კინაღამ დაიჭირეს, როცა არაბ სტუდენტს სცემა.

***ეშლი კოული.*** 19 წლისა. „არსენალი“. 5 მილიონი დოლარი. სწრაფი, ტექნიკური ფეხბურთელი. შეუძლია მარჯვედ ითამაშოს დაცვაში და ასევე კარგად მიიღოს მონაწილეობა შეტევით ოპერაციებში. საინტერესო მოთამაშეა, მაგრამ ჯერჯერობით არსენ ვენგერს იშვიათად გამოჰყავს მინდორზე.

***მაიკლ ბოლი.*** 21 წლის. „ევერტონი“, 4,5 მილიონი დოლარი. მარცხენა მცველი. კევინ კიგანმა უკვე ათამაშა ნაკრებში. თამაშობს დიდი ყურადღებით, საკუთარი ძალების სრული რწმენით. მშვენივრად ასრულებს საჯარიმოს და პენალტს. რატომღაც არ უყვარს „ევერტონის“ მწვრთნელ უოლტერ სმითს და აქედან გამომდინარე, იშვიათად გამოდის ძირითად შემადგენლობაში.

## შუა ხაზი

ნახევარდაცვაშიც გამოჩნდა რამდენიმე ახალი სახელი, რასაც ნაკრების ახალი მწვრთნელი სვენ-გორან ერიქსონი უდავოდ გაითვალისწინებს.

***ჯონ ჰარლი.*** 19 წლის. „უიმბლდონი“. 10 მილიონი დოლარი. მშვენივრად თამაშობდა 1999-2000 წლების სეზონში „ჩელსიში“. უნივერსალური მოთამაშეა, კარგად მოქმედებს როგორც დაცვაში, ისე შუა ხაზის მარცხენა ფრთაზე (რადგან ინგლისში იგრძნობა ცაცია ფეხბურთელების ნაკლებობა). „ჩელსის“ ადრინდელმა მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ მაინც ზედმეტი (ამ შემთხვევაში!) სიფრთხილე გამოიჩინა და უფრო გამოცდილ მცველებს ანიჭებდა უპირატესობას. მაშინ ჰარლი არ დაკმაყოფილდა ასეთი როლით „ჩელსიში“ და მოითხოვა თავისი იჯარით გასხვისება. გადავიდა თუ არა „უიმბლდონში“, პირველივე მატჩში ორი გოლი გაიტანა.

***კირონ დაიერი.*** 22 წლის. „ნიუკასლ იუნაიტედი“, 19 მილიონი დოლარი. კიდევ ერთი უნივერსალი, რომელსაც შეუძლია მინდვრის ნებისმიერ უბანზე ითამაშოს. პრემიერ-ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ტექნიკური ფეხბურთელი. 2000-2001 წლების სეზონში გუნდის ნამდვილი ლიდერი გახდა და ეს დაეტყო კიდეც „ნიუკასლ იუნაიტედს“.

***ჯო კოული.*** 19 წლის. „ვესტ ჰემ იუნაიტედი“, 20 მილიონი დოლარი. კიდევ ერთი კოული ინგლისის ნაკრებში. ამასთან, ენდი და ეშლი კოულებისაგან განსხვავებით, თეთრკანიანია. მეტად მობილური, ტექნიკური ნახევარმცველია. მისი გადაბირება სურს როგორც „არსენალს“, ისე „ჩელსისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“.

***ფრენკ ლემპარდი.*** 22 წლის. „ვესტ ჰემ იუნაიტედი“, 22 მილიონი დოლარი. მას მემკვიდრეობით ფეხბურთელს უწოდებენ, რადგან „ვესტ ჰემს“ სწორედ მისი დედის ძმა, გარი რედნაპი და მამა ფრენკ ლემპარდი ხელმძღვანელობენ. ამიტომაც არის, რომ თუმცა ბევრი კლუბი იწვევს, ფრენკი „ვესტ ჰემის“ დატოვებას არ აპირებს. შესანიშნავი დირიჟორია. მშვენივრად იყენებს საჯარიმოებს. რა თქმა უნდა, არაერთი ნაკლიც აქვს, როგორც ამბობენ, „უქრის“, არასერიოზულად იქცევა. ზაფხულში უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩნდა ჯო კოულსა და რიო ფერდინანდთან ერთად, როცა სტრიპტიზიორ ქალებთან დაკავშირებულ ისტორიაში გაეხვია.

***სტევ ჯერარდი.*** 20 წლის. „ლივერპული“, 70 მილიონი დოლარი. ეს ფანტასტიკური თანხა არ გაგიკვირდეთ: იგი კლუბის ხელმძღვანელობამ იმიტომ დააწესა, რომ ჯერარდი სხვა კლუბმა არ გადაიბიროს, ამდენს, სულერთია, მაინც ვერავინ გადაიხდის. ინგლისში უყვართ ასეთი თქმა. „გეშინოდეს, ბექჰემო, ჯერარდი მოდის“. უყვარს თამაში ნახევარდაცვის მარჯვენა ფრთაზე. თუმცა შეუძლია ამავე ხაზის ცენტრშიც იმოქმედოს. მშვენიერი გადაცემები აქვს, შესანიშნავად არის შეთამაშებული ოუენსა და ჰესკისთან. მას კიგანიც იწვევდა ნაკრებში, და, რა თქმა უნდა, არც ახალი ხელმძღვანელობა დაივიწყებს.

***ლი ბოიერი.*** 23 წლის. „ლიდს იუნაიტედი“, 20 მილიონი დოლარი. ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი სასურველი ფეხბურთელი. „ლიდსის“ თამაშების წარმმართველი. წლევანდელი ჩემპიონატის აღმოჩენა. მეტისმეტად ნიჭიერია. მაგრამ, ამავე დროს, მეტისმეტად... უხეშიცაა, რომ არა ვთქვათ „ჭუჭყიანი“, აქედან გამომდინარე, ყოველგვარი, ცხადია, უარყოფითი შედეგით.

***ჯემი კარაგერი.*** 23 წლის. „ლივერპული“, 9 მილიონი დოლარი. თამაშის ცნობილი ჩამშლელი თუ დამარღვეველი, ჩინებულად მოქმედებს თავით. თანაბრად კარგად თამაშობს როგორც საყრდენი ნახევარმცველის, ისე ცენტრალური მცველის პოზიციაზე. უყვარს შეტევაში ჩართვა. ნაკლი — ფსიქოლოგიურად არამყარია. თუ ერთი შეცდომა მოუვიდა, ახალ შეცდომებსაც უნდა ელოდე.

## თავდასხმა

ინგლისის ნაკრები ყოველთვის განთქმული იყო თავდამსხმელებით. ახლაც საკმაოდ არიან ნიჭიერი ახალგაზრდა ფორვარდები.

***მაიკლ ოუენი.*** 20 წლის. „ლივერპული“, 70 მილიონი დოლარი. მასზე უკვე იმდენი დაიწერა, რომ ახალი რამის თქმა ძნელია. როცა თავს ჯანმრთელად გრძნობს, ნაკრებში გარანტირებული ადგილი აქვს. მაგრამ ჯანმრთელობა კი ხშირად ღალატობს. ამ ბოლო ხანებში ხშირად ავადმყოფობდა და ბევრი მატჩი გამოტოვა.



ალან სმითი

***ემილ ჰესკი.*** 21 წლის. „ლივერპული“. 20 მილიონი დოლარი. ფიზიკურად მძლავრი, ტანმაღალი, შეუპოვარი. ჰესკი მაიკლ ოუენის სრული ანტიპოდია. ჩინებული საგოლე გრძნობა აქვს, ძლიერი დარტყმა, ჯიქურ მიიწევს მეტოქის კარისკენ, მკერდით, იდაყვითაც კი. მის ნაკლად ითვლება ერთგვარი ცალმხრივობა, სწორხაზოვნება. ეს ზღუდავს ჰესკის, რომელსაც მეტსახელად ბრუნო ჰქვია, შესამჩნევს.



ლი ბოიერი

***ფრენსის ჯეფერსი.*** 19 წლის. „ევერტონი“, 30 მილიონი დოლარი. როგორც ერთმა ინგლისელმა ჟურნალისტმა თქვა, ეს არის [illegible] ოუენის ტექნიკითა და შერინგემის საგოლე ინსტინქტით. მისი კერპი ახლო წარსულში ფართოდ ცნობილი იან რაში იყო. ითვლება, რომ ოუენ-ჯეფერსის დუეტი ნებისმიერ დაცვით ჯებირს დაძლევს. მაგრამ იმასაც წერენ, რომ თუ ოუენს ქერარ ულიესთან შესანიშნავი ურთიერთობა აქვს, ფრენსისი ვერაფერს ხდება თავის საკლუბო მწვრთნელთან. საქმე ის არის, რომ უოლტერ სმითი ვერ იტანს ახალგაზრდა ფეხბურთელებს. 1999 წელს იგი მრისხანედ დაუპირისპირდა ფრენსის ჯეფერსს და დიდი ხნით ჩამოაშორა იგი ძირითად შემადგენლობას. ისე კი, ჯეფერსს ძალიან ცუდი ხასიათი აქვს. აგინებს მეტოქეებს, ზოგჯერ კი მათ პარტნიორებსაც მიაყოლებს ხოლმე. ამას ნამდვილ „ვარსკვლავურ ავადმყოფობას“ უწოდებენ. გარდა ამისა, ჯეფერსი ხშირად იღებს ტრავმას. მან ჩინებულად დაიწყო 2000-2001 წლების სეზონი, მაგრამ შემდეგ დაშავდა და მთელი ორი თვე მკურნალობდა.

***ალან სმითი.*** 21 წლის. „ლიდს იუნაიტედი“, 25 მილიონი დოლარი. დიდი ტალანტი აქვს, მაგრამ ასევე დიდი არასტაბილურობა. მას შემდეგ, რაც ბრწყინვალედ წარმართა თავისი პირველი სეზონი პრემიერ-ლიგაში, გაამაყდა და შემდეგ მთელი წლის მანძილზე ხან კარგად თამაშობდა და ხან ისე, სხვათა შორის. 2000-2001 წლების სეზონში კვლავ კარგ ხასიათზეა და ბევრი გოლიც გააქვს. ახლა „ლიდსის“ ხელმძღვანელობას (და, უნდა ვიფიქროთ, ნაკრების მესვეურებსაც) მისი დიდი იმედი მიეცა.

***კარლ კორტი.*** 23 წლის. „ნიუკასლ იუნაიტედი“. 16 მილიონი დოლარი ჩინებულად დაიწყო ჩემპიონატი, თვით ალან შირერიც კი დაჩრდილა. შემდეგ კი არ გაუმართლა, დაშავდა. კარგი საგოლე ალღო აქვს, საუკეთესოა საჰაერო ბრძოლაში. ერთი ნაკლი შეიმჩნევა — არ შეუძლია სრული დატვირთვით ითამაშოს მთელი 90 წუთი. ტექნიკური თვალსაზრისით არ არის ისე ძლიერი, როგორც ნაკრების სხვა კანდიდატი-თავდამსხმელები. ხელს უშლის მეტისმეტი ემოციურობაც.

ერთი სიტყვით, ინგლისურ კლუბებში საკმაოდ არიან ნიჭიერი ფეხბურთელები. ახლა კი სიტყვა ნაკრების ახალ ხელმძღვანელს, პირველ უცხოელს, ისე კი, ინგლისური ფეხბურთის დიდ მცოდნესა და გულშემატკივარს, გამოჩენილ შვედ სპეციალისტ სვენ-გორან ერიქსონს ეკუთვნის, რომელმაც საცაა უნდა ჩაიბაროს ნაკრების სადავეები.

მოამზადა **ბიბი თორელმა**

## გაზეთის დაბეჭდვის წინ

### ედ დე გუი: „სხვა კლუბში ნუ გამყიდით!“

ინგლისის პრემიერლიგის კლუბ „ჩელსის“ მეკარე, რომელიც ამ ბოლო ხანს აშკარად ვერ ამართლებს კლუბის მეპატრონეთა იმედებს, ძლიერ შიშობს, რომ მას გასაყიდ მოთამაშეთა სიაში შეიყვანენ.

### ერიქსონი ირჩევს და ასახელებს

იტალიის „ლაციოდან“ ამ დღეებში წამოსულმა შვედმა სპეციალისტმა სვენ-გორან ერიქსონმა ამიერიდან გადაწყვიტა მხოლოდ ინგლისის ეროვნულ ნაკრებს დაუთმოს ყურადღება. პირველ რიგში, მან დაასახელა გუნდის „ხერხემალი“, რომელშიც შევიდნენ: „ლიდსის“ 21 წლის მეკარე პოლ რობინსონი და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველები დევიდ ბექჰემი და პოლ სქოულზი.

### ამხანაგური

**ბენფიკა (პორტუგალია) — ცსკა (ბულგარეთი) 1-1**

1-0 ანდრე (36), 1-1 ანტონოვი (84)

**მილანი (იტალია) — მალტანეზე (იტალია) 11-0**

(სამი გოლი შევჩენკოს ანგარიშზეა).

**საბერძნეთის ჩემპიონატი:**

იანინა — პანიონისი 2-2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## ვენეიბლსი მზადაა დაეხმაროს ერიქსონს



მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის ეროვნული ნაკრების ექს-მწვრთნელი ტერი ვენეიბლსი წინაამდეგია, რომ „ნისლიანი ალბიონის" მთავარი გუნდის თავკაცად უცხოელი მწვრთნელი დანიშნულიყო, იგი, როგორც თავად განაცხადა: „მზადაა დაეხმაროს შვედ სვენ-გორან ერიქსონს, რათა ინგლისის ნაკრებმა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ტურნირის საგზური მოიპოვოს".

## დეგრადაციაც ამას ჰქვია!

**ბრაზილიურმა „კორინთიანსმა" 2000 წელი მეტისმეტად „რიხიანად" დაიწყო: მსოფლიოს პირველ ჩემპიონატში გაიმარჯვა კლუბებს შორის. ამის შემდეგ დაიწყო, რაც დაიწყო. კლუბმა ჟოაო აველანჟის თასზე (რომელმაც ბრაზილიის ადრინდელი ჩემპიონატი შეცვალა) ზედიზედ 10 მატჩი წააგო. ბრაზილიურმა პრესამ გაკვირვება გამოთქვა დიდი სახელის მქონე კლუბის ასეთი დეგრადაციის გამო, მაგრამ ფაქტს სად გაექცევი?**

## ბრაზილიელების რისხვამ იმატა

მოსკოვის „სპარტაკის" მთავარ მწვრთნელ ოლეგ რომანცევს აშკარა მიდრეკილება აქვს ბრაზილიელი ფეხბურთელებისადმი, რობსონი, რომელსაც რომანცევი, საკუთარი სიტყვებით, კარგა ხანს „უთმენდა", ბოლოს და ბოლოს, კარგი ოსტატი გახდა. შარშან მიიპყრო ყურადღება თავდამსხმელმა მარკაომ. ახლა მათ დაემატა მცველი ალემანდრე ლოპესი, რომელიც ჩვენი ხიზანეიშვილის მხარდამხარ თამაშობს და განაპირა ნახევარმცველი დირსეუ. ამ სწრაფ და ტექნიკურ ფეხბურთელს, მიმომხილველთა აზრით, კარგი შესაძლებლობები აქვს მოიპოვოს ადგილი „სპარტაკის" ძირითად შემადგენლობაში.

## იმ ახალი წლის მოსაგონარი

**როგორც ბრაზილიელი ჟურნალისტები ახალი წლის დადგომისას იგონებენ ხოლმე, 1976 წლის დამდეგს გარინჩას ვაჟი შეეძინა. აქ უცნაური ის იყო, რომ მანეს მის... 19 ქალიშვილს პირველი ვაჟი დაემატა.**

**პირველ ცოლ ნაირთან გარინჩას 8 ქალიშვილი ჰყავდა. შემდეგ იგი მას გაეყარა და ცნობილ მომღერალ ელზა სუარესთან იქორწინა. აქ მას 5 ქალიშვილი შეეძინა და კიდევ 6 იშვილა. ამრიგად, მას უკვე 19 შვილი ჰყავდა, რომელთაგან არც ერთი არ იყო ვაჟი. ამიტომ იყო 1976 წლის დამდეგი დიდი ფეხბურთელისათვის ესოდენ ბედნიერი.**

## კანისარესი: „ჰექტორ კუპერი უთუოდ გუნდში უნდა დარჩეს!"

ესპანეთის „ვალენსიას" მეკარემ ხოსე სანტიაგო კანისარესმა ოფიციალურად მიმართა თავის მთავარ მწვრთნელს — არგენტინელ ჰექტორ კუპერს თხოვნით დარჩეს გუნდში და გააგრძელოს კონტრაქტი. „ყველანი, ვისთვისაც სულ ერთი არაა „ვალენსიას" მომავალი, მოხარული იქნება, თუ კლუბში კუპერი დარჩება"— განაცხადა სახელგანთქმულმა მეკარემ. შეგახსენებთ, არგენტინელ სპეციალისტს, რომელსაც „ვალენსიასთან" სამ თვეში უმთავრდება კონტრაქტი, ეპატიჟებიან „ბარსელონა", „მილანი" და სხვა ევროპული გრანდები.

## ბუტრაგენიო „რეალს" დაუბრუნდა



ბუტრაგენიო

მადრიდის „რეალს" დაუბრუნდა მისი ყოფილი თავდამსხმელი, არც ისე დიდი ხნის წინ მადრიდელი გულშემატკივრების კერპი ემილიო ბუტრაგენიო!

„რეალის" ძირითად შემადგენლობაში ბუტრაგენიოს დებიუტი 1984 წელს ჰქონდა და აქ 11 სეზონის განმავლობაში თამაშობდა. ამ ხნის განმავლობაში იგი 11-ჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი. ბოლო 15 თვის მანძილზე ბუტრაგენიო ესპანეთის სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მრჩეველი იყო. ახლა იგი „რეალის" სპორტული დირექტორის ხორხე ვალდანის თანაშემწე გახდა.

## „ჩელსი" – იმედის გაცრუება

**ინგლისის პრემიერლიგის 20 კლუბიდან ბევრი ვერ ამართლებს იმედებს, მაგრამ ის, რაც ლონდონის „ჩელსის" მოუვიდა, მაინც გაუგებარია. კლუბს დიდი ფინანსური შესაძლებლობები აქვს, დიდი პოტენციალი, საუკეთესო შემადგენლობა, მაგრამ რატომ თამაშობს ასე სუსტად, არავინ იცის. ლონდონელები განსაკუთრებით უსუსურები არიან გასვლით მატჩებში, სადაც ერთი გამარჯვებაც კი ვერ მოიპოვეს. კლუბის მესვეურები შეეცადნენ ხსნა მწვრთნელის შეცვლაში ენახათ, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა. ერთი იტალიელი — ვიალი, მეორე იტალიელმა — რანიერიმ შეცვალა, მაგრამ გუნდს სულაც არ ეტყობა უკეთესი თამაში.**

**ახლა რანიერი აცხადებს, რომ წინ მთელი წრეა და კლუბიც შეძლებს მდგომარეობის გამოსწორებას. ვნახოთ...**

## კუტკალიები ფეხბურთს ემტერებიან

პარაგვაის დედაქალაქ ასუნსიონში კუტკალიებმა უზარმაზარი რაოდენობით შეუტიეს სტადიონ „დეფონსორეს დელ ჩაკოს" და სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში მთლიანად გაახრეს იგი. უვარგისად აქციეს ბალახის საფარი, რომელიც ძვირადღირებულია და ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო შეკვეთილი.

დირექციას მოუხდა 43 ათასიანი სტადიონის დროებით დაკეტვა. უფრთხილდით კუტკალიებს, რომლებმაც როგორღაც სახიფათოდ ამოიჩემეს ფეხბურთი.

## ტარიბო ვესტის საოცარი გარდასახვა

**ნიგერიელი ტარიბო ვესტი ბრწყინვალე იყო ატლანტაში ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც მისმა გუნდმა ჩემპიონობა მოიპოვა. შემდეგ იგი აპენინის ნახევარკუნძულზე აღმოჩნდა, მაგრამ ისე სუსტად თამაშობდა, რომ ჯერ „ინტერმა", შემდეგ კი „მილანმა" აღარც იცოდნენ, როგორ მოეცილებინათ ეს არაფრის მაქნისი თავიდან.**

**ბოლოს ტარიბო ვესტი ინგლისურმა „დერბი ქაუნთიმ" შეიძინა, რომელიც სატურნირო ცხრილის ბოლოში იყო ჩაძირული, იმდენად სუსტი დაცვა ჰყავდა, რომ ყველა თამაშში ორზე მეტ გოლს უშვებდა. როგორც ინგლისური პრესა იუწყება, იქ ნამდვილი საოცრება მოხდა. „დერბი ქაუნთის" დაცვის „ნამსხვრევები" ნიგერიელმა ისე შეაერთა და გააერთიანა, რომ კლუბმა შესამჩნევად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა. ვესტს ახლა ძალიან აქებენ მიმომხილველები და იგი უმაღლეს ნიშნებსაც იმსახურებს.**

## ტუსაღების თავისებური მინი-გადატრიალება

უცნაური რამ მოხდა ბარსელონის ერთ-ერთ საპატიმროში. პატიმრებმა 10 დარაჯი ჩაკეტეს ერთ კამერაში და უარი განაცხადეს დაშლილიყვნენ, სანამ არ დამთავრდებოდა „კადისისა" და მადრიდის „ატლეტიკოს" მატჩის ტელეტრანსლაცია.

ციხის წესების თანახმად ამ პატიმრებს ეძლეოდათ ერთი თავისუფალი საათი, რომელსაც ისინი საკლუბო ოთახში ატარებდნენ: თითქოს ჯიბრზე, ეს ერთი საათი მაშინ დამთავრდა, როცა მატჩის მეორე ტაიმი იწყებოდა. როცა დარაჯებმა მოითხოვეს, რომ პატიმრები თავიანთ კამერებში დაბრუნებულიყვნენ, მაშინ პატიმრებმა ისინი განაიარაღეს და, ასე ვთქვათ, დროებით დააპატიმრეს. როცა მატჩი დამთავრდა, დარაჯები გაანთავისუფლეს, პატიმრებმა კი თავთავიანთ კამერებს მიაშურეს.

## ვიქტორია ადამსი: ჩემი სახლი საუკეთესო ადგილია მსოფლიოში

**ვიქტორია კაროლინ ადამსი დაიბადა 1975 წლის 7 აპრილს. იგი, განთქმული დევიდ ბექჰემის მეუღლე, მთელ ინგლისში ცნობილი მომღერალია. მისი საყვარელი კულბი, ცხადია, „მანჩესტერ იუნაიტედია". ძალზე ორგანიზებული ქალია.**

● *გვითხარით, დილით ხომ არ იჩქმეტთ ხოლმე, რათა დარწმუნდეთ, რომ ძილში არა ხართ? ყველაზე სექსუალური მამაკაცის ცოლი იყო და თანაც მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო ანსამბლში მღეროდე — ეს მეტისმეტი ბედნიერებაა ერთი ადამიანისათვის.*

— მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ქალი ვარ, მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ დევიდსაც გაუღიმა ბედმა. და მაინც, ზოგჯერ მგონია, რომ ყველაფერი ეს თითქოს სიზმარში ხდება.

● *რა ჩვევა გაქვთ, სხვა ადამიანებს რომ აღიზიანებს?*

— ტელეფონს არ ვცილდები, დევიდს გაუთავებლად ველაპარაკები.

● *თქვენი პატარა ვაჟი ბრუკლინი უკვე ლაპარაკობს?*

— სამი სიტყვა იცის: დედა, მამა და ფეხბურთი.

● *დაასახელეთ ყველაზე კარგი ადგილი მსოფლიოში, სადაც თუნდაც ერთხელ მოგიხდათ ყოფნა.*

— ეს ჩემი სახლი გახლავთ.

## ექვსმა პოლიციელმა ძლივს დააშოშმინა

ფამაგუსტას „ანორტოსისის" (კვიპროსი) მცველ დემიტრის იოანუს სამუდამო დისკვალიფიკაცია ემუქრება მინდორზე დიდი აყალმაყალის ატეხისათვის.

„ომონიასა" და „ანორტოსისის" ეროვნული პირველობის მატჩში ფეხბურთელი მაშინ გაშმაგდა, როცა თანამსაჯმა არ აღნიშნა „ომონიას" ერთბაშად სამი მოთამაშის თამაშგარე მდგომარეობა. იოანუ მიეჭრა თანამსაჯს და სასტიკად გამოლანძღა. თამაში ძლივს განახლდა, მაგრამ სულ რამდენიმე წუთის შემდეგ იმავე თანამსაჯს „ანორტოსისის" სხვა ფეხბურთელებმა შეუტიეს და მანაც მეტი რა ჯანი იყო, მთავარ არბიტრს უხმო. მან თავის ასისტენტებს მინდვრის შუაგულში მოუყარა თავი, მაგრამ იოანუ მიეჭრა იმავე საწყალ თანამსაჯს და მუშტი უთავაზა. ამის შემდეგ ფეხბურთელი მთელ მინდორზე გამოეკიდა და რაც ხელში მოხვდა, ესროლა. როგორც იყო იოანუ გასახდელში შეიყვანეს, მაგრამ გამოექცათ და მარჯვნივ და მარცხნივ ყველას ურტყამდა. ჯერ ბურთი აიღო ხელში და გულშემატკივრებს ესროლა, შემდეგ ნოკაუტში გაისტუმრა ყოფილი თანაგუნდელი მიხალოვიჩი, ბოლოს კი სილა სტკიცა საკუთარ მწვრთნელ პამბორისს. ეს გაავთრებული ფეხბურთელი ექვსმა პოლიციელმა ძლივს გაიყვანა მინდვრიდან.



## ხავიერ კლემენტე ენთუზიაზმს არ კარგავს

ცნობილი ესპანელი მწვრთნელი ხავიერ კლემენტე, რომელიც არც ისე დიდი ხნის წინათ მეტად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მარსელოს „ოლიმპიკის" ხელმძღვანელად დაინიშნა, ენთუზიაზმს არ კარგავს და ფიქრობს, რომ შეძლებს კლუბის „ორმოდან ამოთრევას".

ხელშეკრულების თანახმად, კლემენტემ სეზონის ბოლომდე უნდა იმუშაოს, მაგრამ ფიქრობენ, რომ იგი ამოცანას შეასრულებს და კონტრაქტსაც გაუგრძელებენ.

## ბობი რობსონი ეძებს და პოულობს?

სახელებით თუ ვიმსჯელებთ, „ნიუკასლ იუნაიტედს" წინა ხაზზე საქმე სულაც არა აქვს ცუდად. აქ თამაშობენ შირერი, კორტი, არგენტინელები ბასედასი და კორდონე, და ისეთი ეგზოტიკური პიროვნებაც კი, როგორიცაა ტრეზორ ლუალუა. მაშ რაღა აღელვებს მრავალნაცად მწვრთნელ ბობი რობსონს?

აი, თურმე რა. კარლ კორტი მეტ დროს საავადმყოფოში ატარებს, ვიდრე მინდორზე. შემდეგში შეიძლება „ნიუკასლს" დიდი სარგებლობაც მოუტანოს, მაგრამ ახლა... არგენტინელებს ძალიან იშვიათად გააქვთ გოლები, ლუა-ლუას კი დღემდე არ გაუტანია, შირერს



რობსონი

მუხლი სტკივა, ეს უკვე აღარ არის ის პირველხარისხოვანი სნაიპერი ყველანი რომ ვიცნობდით.

ამიტომაც უნდა რობსონს დენის ბერხკამპის შეძენა. თუკი იგი „ნიუკასლში" გადავა, ორი გამოცდილი თავდამსხმელი ერთმანეთს გამოაცოცხლებს და გაამხნევებს. ბერხკამპი ის თავდამსხმელია, რომელიც კარშიც ურტყამს და ზუსტი გადაცემითაც ამარაგებს პარტნიორებს.

— მე დენისი ჯერ კიდევ „აიაქსიდან" მახსოვს, — ამბობს ბობი რობსონი. იგი ჩემზე მაშინვე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. მე ყოველთვის ვოცნებობდი იგი ჩემს გუნდში მყოლოდა. იმის მიუხედავად, რომ ბერხკამპი საყოველთაოდ არის ცნობილი, ვფიქრობ, რომ მან ჯერ კიდევ მთლიანად არ გამოამჟღავნა მთელი თავისი შესაძლებლობა, ჯერ კიდევ არა უთქვამს თავისი საბოლოო სიტყვა ფეხბურთში".

არის აზრი, რომ ბერხკამპი რობსონმა შეიძლება შუა ხაზზე გადაიყვანოს, სადაც ლის, სპეიდისა და სოლანოს კარგი „ბრიგადირი", სამუშაოს წარმმართველი ესაჭიროება. თუ როგორ თამაშობს ბერხკამპი მინდვრის ცენტრში, ეს ევროპის პირველობაზე მშვენივრად გამოჩნდა.

## ზოგი ამართლებს, ზოგი არა

**ინგლისში უკვე საკმაოდ ბევრი ლეგიონერია ყოფილი საბჭოთა კავშირიდან. როგორ აფასებს მათ თამაშს ადგილობრივი პრესა?**

ყველაზე მაღალ შეფასებას რიგის „სკონტოს" ყოფილ თავდამსხმელს, ეროვნებით უკრაინელ ***მარიან პახარს*** აძლევენ. ლატვიის ნაკრების ფორვარდი ახლა „საუთჰემპტონში" გამოდის. სისტემატურად თამაშობს ჩემპიონატის ყველა მატჩში. უკვე გაიტანა 6 გოლი. ამასთან, ყურადღებას იპყრობს არა მარტო როგორც იერიშების დამაგვირგვინებელი ფეხბურთელი, არამედ როგორც გამთამაშებელიც.

როცა ***გიორგი ქინქლაძე*** მინდორზეა, „დერბი ქაუნთის" თამაშს სხვა შინაარსი ეძლევა. გიო ხომ ზუსტი გადაცემებისა და საჯარიმოების შესრულების ოსტატია. სწორედ ქინქლაძის წყალობით იყო, რომ „დერბი ქაუნთიმ" დატოვა აუტსაიდერთა რიგები და ქულათა საკმაო მარაგიც შეიქმნა. მეორე წრეში ქართველმა ლეგიონერმა კიდევ უფრო უკეთესად უნდა ითამაშოს.

***სერგეი რებროვი*** კიევის „დინამოში" გაცილებით უკეთესად გამოიყურებოდა, ვიდრე ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურსში". მართალია, რამდენიმე მატჩი საკმაოდ კარგად წარმართა, მაგრამ დანარჩენში პასიური იყო, მინდორზე არა ჩანდა. ახლა „ტოტენჰემ ჰოტსპურსი" თითქოს დარწმუნდა, რომ რებროვი აღარ გამოადგება და მის გაყიდვასაც კი აპირებს.

***მარტ პოომი*** პირველი ესტონელია, რომელმაც საერთაშორისო ფეხბურთში სახელი მოიხვეჭა. პირველ წრეში მის „დერბი ქაუნთის" ძალიან უჭირდა, რაც პოომის ბრალი კი არ იყო, დაცვის სრული არევ-დარევის გამო ხდებოდა. მას შემდეგ, რაც ტარიბო ვესტმა „დერბიში" დაიწყო თამაში და დაცვაც განამტკიცა, პოომიც სულ უკეთ და უკეთ გამოიყურება.

ძალიან აკრიტიკებენ კიევის „დინამოს" ყოფილ ფეხბურთელ ***ოლეგ ლუჟნის***, რომელიც ახლა ლონდონის „არსენალში" გამოდის. იმასაც კი წერენ, რომ უკრაინის ნაკრების ამ ცნობილი მცველისაგან ახლა თითქმის აღარაფერი დარჩა. ახლა ლუჟნი ძალზე მოუქნელად, მძიმედ თამაშობს. მას შემდეგ, რაც უკრაინელმა პირდაპირ ჩააგდო მატჩი „ლივერპულთან", არსენ ვენგერმა იგი ძირითადი შემადგენლობიდან გამოიყვანა.

„სკონტოს" ყოფილმა მცველმა ***იგორ სტეპანოვმა*** დაიწყო თამაში „არსენალში", სადაც მასზე იმედებს ამყარებენ. ***რატი ალექსიძე*** ჯერჯერობით იშვიათად თამაშობს ლონდონის „ჩელსიში". რაც შეეხება ლატვიელ ნახევარმცველ იმანტ ბლეიდელისს („საუთჰემპტონი") და ლიტველ თავდამსხმელ თომას დინილიავიჩიუსს („არსენალი"), ისინი, ცოტა ხანია, რაც ინგლისში იმყოფებიან და პირველ წრეში არც კი უთამაშიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## რომელ კლუბს აირჩევს ოყრომიძე?

**„საქართველოდან არავინ შემხმიანებია“ – ამბობს ცნობილი მეკარე**

*„ლელოს“ მოსკოველი კორესპონდენტის არკადი სმირნოვის ინფორმაციით, რუსეთის დედაქალაქში მოულოდნელად გამოჩნდა ადრე ლენინგრადის „ზენიტის“, სარატოვის „სოკოლისა“ და ყაზანის „რუბინის“ მეკარე იური ოყრომიძე. ამჟამად იგი მოსკოვის არმიელთა კლუბს ახლდა შეკრებაზე თურქეთში, მაგრამ მოულოდნელად მიატოვა ახალი გუნდი და რუსეთს გამოფრინდა.*




● *იური, რა ხდება, რატომ მიატოვე არმიელთა კლუბი?*

— ჩემგან ულამაზოა დეტალურად ვილაპარაკო მიზეზებზე... ცსკას ხელმძღვანელებთან გულახდილი საუბრის . შემდეგ ჩვენ „განქორწინება“ ვარჩიეთ.

● *ამჟამად თუ გაქვთ ახალი გუნდის ვარიანტები?*

— კი, როგორ არა. რუსეთის უმაღლესი ლიგის რამდენიმე კლუბია დაინტერესებული ჩემი აყვანით. არც ისაა გამორიცხული, საზღვარგარეთს მივაშურო.

● *საქართველოს კლუბების ვარიანტს გამორიცხავთ?*

— თუკი ნორმალურ პირობებს შემომთავაზებენ, რატომ ვიტყვი უარს? ჯერჯერობით საქართველოდან არავინ შემხმიანებია.

● *მაინც რომელი გუნდის ვარიანტი მოჩანს ჰორიზონტზე?*

— რაკი არ მეშვებით, დაგიკონკრეტებთ. ჯერჯერობით ყველაზე რეალურად მოსკოვის „ტორპედო-ზილ“-ში გადასვლა მესახება.

## ოთარ ხიზანეიშვილმა ბრაზილიელი შეცვალა და თავის გამოიჩინა

მოსკოვის „სპარტაკი“ შეკრებაზეა ისრაელში. გუშინწინ იგი ამხანაგურ მატჩში შეხვდა კარიატ-გატის „მაკაბის“. პირველ ტაიმში წინა ცენტრალური მცველის მოვალეობას ბრაზილიელი დირსეუ ასრულებდა და როგორც იტყობინებიან, მან მრავალი შეცდომა დაუშვა. მატჩის მეორე ნახევარში, როცა ანგარიში 1-1 იყო, მოსკოველთა მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა ბრაზილიელის ნაცვლად მინდორზე ოთარ ხიზანეიშვილი გამოიყვანა. ამ შეცვლამ გაამართლა – „სპარტაკმა“ მატჩი მოიგო ანგარიშით 4-2.

შეხვედრის დასრულების შემდეგ რომანცევმა „სპორტ-ექსპრესის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ამ ეტაპზე გუნდში გამოირჩევიან მცველები ბულგაკოვი და ხიზანეიშვილი, წინახაზელი ციხმეისტრუკი.

## ხუსამ ჰასანმა მათეუსს გადაუსწრო




აკი ვიტყობინებოდით კიდეც – მომავალ კვირას ეს ეგვიპტელი ფეხბურთელი, რომელსაც ხუსამ ჰ ასანი ჰქვია, სახელგანთქმული ლოთარ მათეუსის რეკორდს დაამხობს... ასეც მოხდა: გუშინწინ ეგვიპტე-ზამბიას შეხვედრა ჰასანის კარიერაში 151-ე გამოდგა, რომელიც მან ნაკრებში ითამაშა.

„ჩემი მიღწევით მოხარული ვარ, – თქვა ფეხბურთელმა მატჩის შემდეგ, – ეს რეკორდი მთლიანად ეგვიპტურ ფეხბურთს ეკუთვნის და არა მხოლოდ მე“.

## „სპარტაკის“ ახალშეძენილი მეკარე საფრანგეთში დააპატიმრეს




**საფრანგეთში დიდი სკანდალია: ამ ქვეყნის ეროვნული საფეხბურთო ლიგის იურიდიულმა კომისიამ დადასტურებულად სცნო ამჟამად მოსკოვის „სპარტაკისა“ და უწინ „სენტ-ეტიენის“ მეკარის მაქსიმ ლევიცკისა და მისი თანაგუნდელის — ბრაზილიელი ალექსის დანაშაული. მათ ბრალად ედებათ საფრანგეთში ყალბი პასპორტებით შეღწევა. იურიდიულმა კომისიამ მუშაობა 9 იანვარს გვიან საღამოს დაასრულა. საქმის მასალები დაუყოვნებლივ გადაუგზავნეს პოლიციის ცენტრალურ სამმართველოს. უკვე მეორე დღეს დილიდან პოლიციამ ლევიცკი დააპატიმრა, ხოლო ბრაზილიელმა ალექსმა სამშობლოში გადამალვა მოასწრო. როგორ განვითარდება მოვლენები, მალე შევიტყობთ. დავამატებთ მხოლოდ იმას, რომ მომხდარმა ამბავმა ძლიერ შეაშფოთა უკრაინის ფეხბურთის ფედერაციაც — ლევიცკი ხომ ამ ქვეყნის ეროვნული ნაკრების მეკარეცაა.**

## 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი „მიდლსბროს“ გადასარჩენად

უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილ „მიდლსბროს“ გადასარჩენად მისმა პრეზიდენტმა სტივ გიბსონმა ახალ მწვრთნელს, განთქმულ სპეციალისტ ტერი ვენეიბლსს (ყოფილი მთავარი მწვრთნელი ბრაიან რობსონი ამიერიდან მისი პირველი თანაშემწე იქნება) გამოუყო 30 მილიონი გირვანქა სტერლინგი. აქედან პირველი 4 მილიონი „დერბი ქაუნთის“ ნახევარმცველ რორი დელეპის შესაძენად დაიხარჯება.

## პრედრაგ მიატოვიჩი რაულს არა ჰგავს

**„რეალის“ განთქმული ახალგაზრდა თავდამსხმელი რაული თავისი გამოუცდელობის გამო ხან რა სასიყვარულო ისტორიაში გაეხვევა ხოლმე და ხან რაში. ყველაფერი ეს მყისვე „გამომზეურდება“ ესპანური ბულვარული პრესის ფურცლებზე და რაულს უსიამოვნებას აყენებს.**

**პრედრაგ მიატოვიჩი, რომელიც ადრე ასევე თამაშობდა „რეალში“, ამ მხრივ სულ სხვანაირია. 1997 წელს იგი გაეყარა ცოლს, ელენას, რომელთანაც ორი შვილი ჰყავს, მათგან ერთი სერიოზულად ავად არის. ამის შემდეგ არაერთი ქალი შეეცადა პრედრაგ მიატოვიჩის „შეცდენას“, მაგრამ იუგოსლაველმა დიდი სიმტკიცე გამოიჩინა და „აბეზარ ქალებს“ არ აჰყვა. როგორც ჟურნალისტები წერენ, აი ვისგან უნდა აიღოს მაგალითი რაულმა, რომელსაც, უნდა ვიფიქროთ, წინ არაერთი ამგვარი განსაცდელი ელის.**

## 34-35 – ეს დღეისათვის მიუწვდომელი ჩანს

**ის, რომ დღეისათვის იტალიური ლიგა ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში, თუ ყველაზე ძლიერი არა, მრავალმხრივ ზრდის მის მიმართ ინტერესს. გულშემატკივრებს ყველაფერი აინტერესებთ: მეკარეების მაღალი კლასი და მათ მიერ კარის მშრალად შენახვის ხანგრძლივობა, ის, რომ იტალიელი მცველები კლდესავით არიან ალმართულნი, და, რა თქმა უნდა, თავდამსხმელების შედეგიანი თამაში.**

მაინც რამდენი გოლის გატანა შეიძლება ერთ ჩემპიონატში? სხვადასხვა დროს, რა თქმა უნდა, სხვადასხვა საზომები იყო, მაგრამ ერთი რამ მაინც საერთოა – როგორც ომამდე, ისე ომის შემდეგაც აპენინის ნახევარკუნძულზე ვირტუოზი თავდამსხმელები თამაშობდნენ და ყოველ სეზონში პირველი სნაიპერის წოდებისათვის რამდენიმე მათგანი იბრძოლა.


*1983 წ. ჰამბურგი – იუვენტუსი. შეტევაზეა იტალიელი ბეტეგა (ზოლიან მაისურში)*

ჩვენ ასე მოვიქცეთ: ჯერ სნაიპერები ჩამოვთვალოთ, შემდეგ კი ახლანდელ წამყვან თავდამსხმელთა პერსპექტივებზე ვიმსჯელოთ.

1930. მეაცა (ინტერი) – 31 გოლი. 1931 ფოლკი (რომა) – 29. 1932. პეტრონე (ფიორენტინა) – 25. სკიავიო (ბოლონია) – 25. 1933. ბორელი (იუვენტუსი) – 29. 1934. ბორელი (იუვენტუსი) – 32. 1935. გვაიტა (რომა) – 28. 1936. მეაცა (ინტერი) – 25. 1937, პიოლა (ლაციო) – 21. 1938. მეაცა (ინტერი) – 20. 1939. ბოფი (მილანი – 19. პურიჩელი (ბოლონია) – 19. 1940. ბოფი (მილანი) – 24. 1941. პურიჩელი (ბოლონია) – 22. 1942. ბოფი (მილანი – 22. 1943. პიოლა (ლაციო) – 21. 1946. კასტილიანო (ტორინო) – 13. 1947. ვ. მაცოლა (ტორინო) – 29. 1948. ბონიპერტი (იუვენტუსი) – 27. 1949. ნერში (ინტერი) – 26. 1950. ნორდალი (მილანი) – 35. 1951. ნორდალი (მილანი) – 34. 1952. ი. ჰანსენი (იუვენტუსი) – 30. 1953. ნორდალი (მილანი) – 26. 1954. ნორდალი (მილანი) – 23. 1955. ნორდალი (მილანი) – 27. 1956. პივატელი (ბოლონია) – 29. 1957. და კოსტა (რომა) – 22. 1958. ჩარლზი (იუვენტუსი) – 28. 1959. ანჯელილო (ინტერი) – 33. 1960. სივორი (იუვენტუსი) – 27. 1961. ბრიგენტი (სამპდორია) – 27. 1962. ალტაფინი (მილანი) – 22. მილანი (ფიორენტინა) – 22. 1963. ნილსენი (ბოლონია) – 19. მანფრედინი (რომა) – 19; 1964. ნილსენი (ბოლონია) – 21. 1965. ორლანდო (ფიორენტინა) – 17. ს. მაცოლა (ინტერი) – 17. 1966. ვინიჩიო (ვიჩენცა) – 25. 1967. რივა (კალიარი) – 18. 1968. პრატი (მილანი) – 15. 1969 რივა (კალიარი) – 20. 1970. რივა (კალიარი) – 21. 1971. ბონინსენია (ინტერი) – 24. 1972. ბონინსენია (ინტერი) – 22. 1973. სავოლდი (ბოლონია) – 17. რივერა (მილანი) – 17. პულიჩი (ტორინო) – 17. 1974. კინალია (ლაციო) – 24. 1975. პულიჩი (ტორინო) – 18. 1976. პულიჩი (ტორინო) – 21. 1977. გრაციანი (ტორინო) – 21. 1978 როსი (ვიჩენცა) – 24. 1979. ჯორდანო (ლაციო) – 19. 1980. ბეტეგა (იუვენტუსი) – 16. 1981. პრუცო (რომა) – 18. 1982. პრუცო (რომა) – 15. 1983. პლატინი (იუვენტუსი) – 16. 1984. პლატინი (იუვენტუსი) – 20. 1985. პლატინი (იუვენტუსი) – 18. 1986. პრუცო (რომა) – 19. 1987. ვირდისი (მილანი) – 17. 1988. მარადონა (ნაპოლი) – 15. 1989. სერენა (ინტერი) – 22. 1990. ვან ბასტენი (მილანი) – 19. 1991. ვიალი (სამპდორია) – 19. 1992. ვან ბასტენი (მილანი) – 25. 1993. სინიორი (ლაციო) – 26. 1994. სინიორი (ლაციო) – 23. 1995. ბატისტუტა (ფიორენტინა) 26. 1996. პროტი (ბარი) – 24. სინიორი (ლაციო) – 24. 1997. ფ. ინძაგი (იუვენტუსი) – 24. 1998. ბირჰოფი (უდინეზე) – 27. 1999. ამოროზო (უდინეზე) – 22. 2000. შევჩენკო (მილანი) – 24 გოლი.

როგორც ვხედავთ, ამ სიაში ყველაზე უკეთესი შედეგები განთქმულ შვედ თავდამსხმელ ჰუნარ ნორდალს აქვს, რომელიც ხუთჯერ იყო საუკეთესო სნაიპერი „მილანის“ შემადგენლობაში. 145 გოლის გატანა თანამედროვე პირობებში, უნდა ვიფიქროთ, მიუღწეველი ოცნება თუ იქნება, ისევე, როგორც 6 სეზონის განმავლობაში პირველი ადგილის ხუთჯერ დაკავება. აი, სამჯერ გამარჯვებას კი დღევანდელი თავდამსხმელები, ალბათ, შეეცდებიან. სწორედ ამდენი მიღწევა ჰქონდათ ჯუზეპე მეაცას, ლუიჯი რივას, ფრანკო პულიჩის, კარლო პრუცოს, მიშელ პლატინის, ჯუზეპე სინიორის...

შარშანდელი გამარჯვებული ანდრეი შევჩენკო, რა თქმა უნდა, წელსაც შეეცდება მიღწევის განმეორებას, შეიძლება უკეთესი შედეგითაც. საინტერესოა, რომ „მილანის“ ფანატები უკრაინელისაგან ითხოვდნენ 25 გოლის გატანას, რითაც იგი სიმბოლურად აანაზღაურებდა მასში გადახდილ 25 მილიონ დოლარს. ისიც საინტერესოა, რომ საუკეთესო სნაიპერი შევჩენკო უმაღლეს ლიგაში თამაშის პირველსავე წელს გახდა. დებიუტანტ ლეგიონერის ადრინდელი რეკორდი კი სახელოვან ბრაზილიელ ზიკოს ეკუთვნოდა, რომელმაც 1984 წელს 19 გოლი გაიტანა, შევჩენკომ კი მას მთელი 5 გოლით გადააჭარბა. მართალია, უკრაინელს ხელს უწყობდა „მილანის“ მწვრთნელი ალბერტო ძაკერონიც, რომელიც სწორედ მას ანდობდა 11-მეტრიან დარტყმებს, მაშინაც კი, როდესაც ანდრეიმ ზედიზედ ორი პენალტი ვერ გამოიყენა. შემდეგში შევჩენკო უკვე აღარ ცდებოდა. საერთოდ კი, ძაკერონი თვლიდა, რომ ყოფილ კიეველს გაცილებით მეტი შეეძლო და იგი თავისი დიდი პოტენციალის ნაწილს თუ იყენებდა.


*1987 წ. არგენტინა მსოფლიო ჩემპიონია. ჩემპიონატის გმირის, მარადონას სიხარულს საზღვარი არა აქვს*

თუ რამდენად მართალია ძაკერონი, ეს მიმდინარე ჩემპიონატში გამოჩნდება. ფიქრობენ, რომ წელს ძირითადი მეტოქეები ბატისტუტა („რომა“) და შევჩენკო იქნებიან. სხვა პრეტენდენტები, ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი მონაცემებით, თითქოს არ ჩანან, თუმცა შემდეგში, რა თქმა უნდა, არაფერია გამორიცხული. იმასაც ამბობენ, რომ წლევანდელი პირველი სნაიპერი გააუმჯობესებს შარშანდელ მონაცემებს, 24 გოლზე მეტს გაიტანს. ვინ იცის...

**ბიძი გამრეკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული პლანეტა



„ფილადელფიის" ფარს უტევს პორტლენდელი ბონზი უელსი.

# ნბა: „საკრამენტო" და „პორტლენდი" კვლავ იგებენ

რეგულარული საკალათბურთო ასოციაციის ჩემპიონატში მორიგი მატჩები გაიმართა. ცენტრალური მატჩი ფილადელფიაში შედგა, სადაც აღმოსავლეთი და დასავლეთი კონფერენციების ლიდერები შეხვდნენ ერთმანეთს. ადგილობრივი გულშემატკივრების გულის დასამწუხრებლად ლარი ბრაუნის შეგირდებმა ვერაფერი წინააღმდეგობა გაუწიეს სტუმრებს. „ფილადელფიას" მარცხის მთავარ მიზეზად მიიჩნევენ ალან აივერსონის აშკარად სუსტ თამაშს.

**ფილადელფია — პორტლენდი 75:93**
მაკი — 15, ჰილი — 12, აივერსონი — 11, რეტლიფი — 10; უელსი — 18, სტუდემაიერი — 17, უელსი — 13, საბონისი — 11.

**საკრამენტო — კლივლენდი 108:101**
უებერი — 30, სტოიჩკოვი — 27, უილიამსი — 24; გეტლინგი — 38, მილერი — 27, უეზერსპუნი — 12, მიურეი — 10.

**ლოს-ანჯელეს კლიპერსი — დენვერი 91:86.**
ოდომი — 15, პარკსი — 15, რიჩარდსონი — 14, პიატკოვსკი — 13; მაკდაესი — 29, ვან ექსელი — 24, ლაფრენცი — 11.

**ბოსტონი — მაიამი 86:76**
უოლკერი — 27, პირსი — 26; ჯონსი — 20, გრანტი — 14, ჰარდუაეი — 11.

**ვაშინგტონი — სიეტლი 101:104**
უიტნი — 22, ჰოვარდი — 21, ნესბი — 21, სმიტი — 14, პეიტონი — 20, პატერსონი — 19.

**დეტროიტი — ტორონტო 83:110**
სტეკჰაუსი — 23, სმიტი — 12, კლივზი — 11; ოკლი — 19, კარტერი — 18, პეტერსონი — 18, დევისი — 12.

**მინესოტა — დალასი 86:106**
გარნეტი — 26, ბრენდონი — 12, შერბიაკი — 10, ნოვიცკი — 28. ფინლი — 26, ლაეტნერი — 14, ეისლი — 12, ნეში — 10.

## აღმოსავლეთის კონფერენცია

### ატლანტიკის დივიზიონი

| | თ. | მ. | % |
|---|---|---|---|
| ფილადელფია | 25 | 9 | 73,5 |
| ნიუ-იორკი | 22 | 12 | 64,7 |
| მაიამი | 21 | 16 | 56,8 |
| ორლანდო | 14 | 20 | 41,2 |
| ბოსტონი | 13 | 23 | 36,1 |
| ნიუ-ჯერსი | 11 | 24 | 31,4 |
| ვაშინგტონი | 7 | 30 | 18,9 |

### ცენტრალური დივიზიონი

| | თ. | მ. | % |
|---|---|---|---|
| შარლოტი | 22 | 14 | 61,1 |
| მილუოკი | 19 | 15 | 55,9 |
| კლივლენდი | 17 | 16 | 51,5 |
| ტორონტო | 17 | 18 | 48,6 |
| ინდიანა | 16 | 20 | 44,4 |
| დეტროიტი | 14 | 21 | 40,0 |
| ატლანტა | 12 | 22 | 35,9 |
| ჩიკაგო | 6 | 28 | 17,6 |

## დასავლეთის კონფერენცია

| | თ. | მ. | % |
|---|---|---|---|
| სან-ანტონიო | 22 | 11 | 66,7 |
| დალასი | 24 | 13 | 64,9 |
| იუტა | 22 | 13 | 62,9 |
| დენვერი | 20 | 16 | 55,6 |
| მინესოტა | 20 | 17 | 54,1 |
| ჰიუსტონი | 17 | 17 | 50,0 |
| ვანკუვერი | 10 | 24 | 29,4 |

### წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | თ. | მ. | % |
|---|---|---|---|
| პორტლენდი | 26 | 10 | 72,2 |
| საკრამენტო | 23 | 9 | 71,9 |
| ლეიკერსი | 23 | 11 | 67,6 |
| ფინქსი | 20 | 12 | 62,5 |
| სიეტლი | 19 | 18 | 51,4 |
| კლიპერსი | 13 | 24 | 35,1 |
| გოლდენ სტეიტი | 11 | 23 | 32,4 |

**კრივი**



## ჰოლიფილდ-რუისის ბრძოლა 3 მარტს შედგება

WBA-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლაში ერთმანეთს მძიმეწონოსნები ევანდერ ჰოლიფილდი და პუერტორიკოელი ჯონ რუისი შეხვდებიან. ეს ბრძოლა ლას-ვეგასში 3 მარტს გაიმართება. ამის შესახებ განაცხადა ჰოლიფილდის პრომოუტერმა დონ კინგმა.

შეგახსენებთ, რომ შარშან 12 აგვისტოს ჰოლიფილდმა რუისს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული გამოსტაცა, როცა იგი ქულებით დაამარცხა.



## მშვიდობით, ოლიმპიელებო!

27 იანვარს, ნიუ-იორკში, სახელგანთქმულ „მედისონ სკვერ გარდენში" გრანდიოზული შოუ გაიმართება — სიდნეიში, ოლიმპიური თამაშების მოკრივეთა ტურნირში თავგამოჩენილი ერთდროულად 9 სპორტსმენი პროფესიულ რინგზე სცდის ბედს. აი მათი სახელები: ამერიკელები — რიკარდო უილიამსი, კლარენს ვინსონი, ჯერმეინ ტეილორი, მაიკლ ბენეტი, დანტე კრეიგი და ჯერსონ რაველო, იტალიელი პაოლო ვიდოცი, დომინიკელი ქოზე ნავარო და პუერტორიკოელი მიგელ კოტო.

*სურათზე: XXVII ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი რიკარდო უილიამსი.*

## როი ჯონსი ფელიქს ტრინიდადის წინააღმდეგ

**მსოფლიო ჩემპიონმა ქვემძიმე წონის უმცროსმა როი-ჯონსმა გუშინ, მექსიკაში პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ გამოვა რინგზე ფელიქს „ტიტო" ტრინიდადის წინააღმდეგ.**

*სურათზე: როი-ჯონსი-უმცროსი*



**რალი**

## პარიზი – დაკარი: გერმანელმა ქალმა ვაჟებს ქვიშა შეაყარა



რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს „პარიზი-დაკარის" მეცხრე ეტაპზე ყველას გერმანელმა ქალმა იუტა კლაინშმიდტმა აჯობა. მან წრიული ეტაპის 518 კილომეტრიანი მონაკვეთი, რომელიც ელ-ხალაუიას ქვიშებში გადიოდა, 5 საათში, 22 წუთში და 45 წამში დაფარა. შარშანდელი რალის გამარჯვებული ფრანგი ჟან-ლუი შლესერი მას 25 წამით ჩამორჩა. მესამე შედეგი აჩვენა მაცუოკა-მაიმონის იაპონურმა ეკიპაჟმა.

იტყობინებიან, რომ ამ ეტაპზე ბეწვზე გადარჩა ფრანგი ჟან-პიერ ფონტენე. მისი „მიცუბისი" სამჯერ გადაყირავდა, მაგრამ პილოტმა მაინც შეძლო რბოლის დამთავრება. მან ფინიში მეშვიდემ გადაკვეთა. საერთო ჩათვლაში წინ კვლავ ესპანელი ხოსე მარია სერვერია.

მოტოციკლისტებში მეორე გამარჯვება იზეიმა ესპანელმა ისიდრე ესტევე პუხოლმა. საერთო ჩათვლაში კი ფრანგი რიშარ საინკტი ლიდერობს.

სატვირთო ავტომანქანების ჯირითი თავის „ტატრაზე" ამხედრებულმა ჩეხმა კარელ ლოპრაისმა მოიგო.

## კოლუმბია "COPA AMERICA"-ს უმასპინძლებს (11–29.07, 2001 წ.)

**გუშინ გაიმართა წილისყრა**

**A ჯგუფი:** კოლუმბია, ჩილე, ეკვადორი, ვენესუელა
**B ჯგუფი:** ბრაზილია, პარაგვაი, პერუ, მექსიკა
**C ჯგუფი:** არგენტინა, ურუგვაი, ბოლივია, კანადა

*მეოთხედფინალში გადიან პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები.*

## კომპენსაცია ვერ მიიღო

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქის უზენაესმა სასამართლომ აცილება მისცა საშუალო მანძილებზე ცნობილი მორბენლის დაიანა მოდალის სარჩელს, რომლითაც იგი ცდილობდა ქვეყნის მძლეოსნობის ფედერაციისათვის გადაეხდევინებინა 500 000 გირვანქა სტერლინგი კომპენსაცია მორალური ზარალისათვის, რომელიც მას დისკვალიფიკაციისათვის მიაყენეს დოპინგის გამოყენების გამო. 1994 წელს მოდალს აუკრძალეს შეჯიბრებაში მონაწილეობა მას შემდეგ, რაც მის სინჯში აღმოაჩინეს მამაკაცის ჰორმონის ტესტოსტერონის დიდი რაოდენობა, მოდალი არ დაკმაყოფილდა სასამართლოს გადაწყვეტილებით და აპელაციის შეტანას აპირებს.

## უმცროსმა ძმამ შეცვალა

დევისის თასზე ამერიკის ნაკრების 38-ე კაპიტნად დანიშნეს პატრიკ მაკინროი, რომელმაც ამ პოსტიდან ახლახან გადამდგარი უფროსი ძმა ჯონი შეცვალა. მაკინროი-უმცროსმა თქვა, რომ სულაც არ აპირებს დაელოდოს, როდის გამოთქვამენ ვარსკვლავები ნაკრებში გამოსვლის თანხმობას. „გუნდში ითამაშებს ის, ვინც ამისკენ ისწრაფვის და ვისთვისაც დევისის თასი პრიორიტეტული შეჯიბრებაა".

## მარადონა ახალ შარში გაეხვია

ჩავიდა თუ არა რომში, მარადონასთან დაუყოვნებლივი გასაუბრება მოითხოვა იტალიის საგადასახადო პოლიციამ. მარადონა ექვმიტანილია 10 მილიონი ოდენობის დოლარის საგადასახადო მაქინაციებში.

# „დიდი მუზარადის“ პრეტენდენტები

**ყოველი საჩოგბურთო სეზონის ყურადღების ცენტრში „დიდი მუზარადის“ ოთხი ტურნირია (ავსტრალიის, საფრანგეთის, ინგლისის და აშშ-ს ღია პირველობები), რომლებსაც წლის ბოლოს მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატიც ემატება.**


აგასი

„დიდ მუზარადზე“, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, ე.ი. ოთხი ძირითადი ტურნირის მოგებით, ახლა პრეტენზიას ვერავინ აცხადებს (თუმცა მეტისმეტად კატეგორიულებიც ნუ ვიქნებით), მაგრამ თუნდაც ერთ მათგანში გამარჯვება ჩოგბურთელს დიდ სახელს მოუტანს ხოლმე.

ვის ეკნება 2001 წელს უმნიშვნელოვანეს ტურნირებზე გამარჯვების მეტ-ნაკლები პრეტენზია?

***ანდრე აგასი (აშშ).*** 30 წლის, 180 სმ. 77 კგ. 2000 წლის სეზონში 16 ტურნირში ითამაშა. მოიგო „დიდი მუზარადის“ ერთი ტურნირი (ავსტრალიის ღია პირველობა), ორჯერ ფინალამდე მიაღწია (მსოფლიოს ჩემპიონატის გათვალისწინებით).

***პიტ სამპრასი (აშშ).*** 29 წლის, 182 სმ. 79 კგ. ითამაშა 13 ტურნირში. გაიმარჯვა ინგლისის ღია ჩემპიონატში (უიმბლდონი), ითამაშა აშშ-ს ღია პირველობის (ფლეშინგ მიდოუ) ფინალში. წლის განმავლობაში პრიზად მიიღო დაახლოებით 2 მილიონი დოლარი.


სამპრასი

***გუსტავო კურტენი (ბრაზილია).*** 24 წლის, 191 სმ. 76 კგ. სეზონის განმავლობაში ითამაშა 23 ტურნირში, აქედან გაიმარჯვა ხუთში და ორჯერ ფინალამდე მივიდა. მოიგო მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი. წლის განმავლობაში პრიზების სახით მიიღო 2 მილიონ დოლარზე მეტი.

***მარატ საფინი (რუსეთი).*** 20 წლის. 193 სმ. 88 კგ. 2000 წელს დიდ წარმატებებს მიაღწია და ამჟამად მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელად ითვლება. ითამაშა 31 ტურნირში, გაიმარჯვა შვიდში, სამჯერ კი ფინალამდე მივიდა. სულ უკანასკნელ მომენტში დაკარგა შესაძლებლობა გამხდარიყო წლის №1 ჩოგბურთელი. პრიზად მიიღო თითქმის 3 მილიონი დოლარი. წლის დასაწყისიდან ავსტრალიაშია, სადაც უკვე გაუხსნა იდაყვის ძველმა ტრავმამ. ამის გამო ეჭვიც კი გამოთქვა, რომ შეიძლება ავსტრალიის ღია პირველობაზეც კი ვერ ითამაშოს, რაც დიდად გააუარესებს მის შემდგომ შესაძლებლობებს.

***ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი).*** 26 წლის, 190 სმ. 84 კგ. დაკარგა რუსეთის №1 ჩოგბურთელის წოდება, თუმცა კვლავ რჩება მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელად. 2000 წლის სეზონი საკმაოდ წარმატებით წარმართა. ითამაშა 32 ტურნირში. მოიგო 2, სამჯერ კი ფინალში გავიდა. პრიზად მიიღო დაახლოებით მილიონ შვიდასი ათასი დოლარი.

***ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია).*** 19 წლის, 180 სმ. 65 კგ. 2000 წელს საგრძნობლად დაწინაურდა და ახლა მსოფლიოს უძლიერეს ოსტატთა რიცხვში ითვლება. ითამაშა 20 ტურნირში, აქედან გაიმარჯვა ოთხში, ერთხელ ფინალში გავიდა. ჯილდოდ მიიღო დაახლოებით მილიონნახევარი დოლარი.

***ალექს კორეიჯა (ესპანეთი).*** 26 წლის, 180 სმ. 70 კგ. ითამაშა 23 ტურნირში, მოიგო 5; მიიღო დაახლოებით 1 მილიონ 300 ათასი დოლარი.



***მაგნუს ნორმანი (შვედეთი).*** 24 წლის, 188 სმ. 90 კგ. ითამაშა 28 ტურნირში. მოიგო 5, საფრანგეთის ღია პირველობაზე კი ფინალში გავიდა. პრიზად მიიღო მილიონნახევარ დოლარზე მეტი.

***თომას ენკვისტი (შვედეთი).*** 26 წლის, 191 სმ. 87 კგ. ითამაშა 26 ტურნირში, ორჯერ გაიმარჯვა, სამჯერ ფინალში გავიდა. პრიზად მიიღო 1 მილიონ 300 ათასი დოლარი.

ბიჭი თორელი

# გელფანდი: ლანძღვა-გინება რა საქადრისია!

**32 წლის დიდოსტატ ბორის გელფანდს, რომელსაც ადრე საბჭოთა კავშირში თვალსაჩინო წარმატებები ჰქონდა, ახლა კი ისრაელის ნაკრების პირველ დაფაზე თამაშობს, მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკის რეპუტაცია აქვს. გელფანდს ესაუბრება ბერლინის ჟურნალ „შახის“ კორესპონდენტი.**



● ***ვინ არის, თქვენი აზრით, ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე ნაკლებად შეფასებული ან პირიქით, ყველაზე დიდად დაფასებული მოჭადრაკე?***

— ძალიან ძნელია ამ კითხვაზე პასუხი, იმიტომ, რომ თითოეულ მოჭადრაკეს დიდი მოჭადრაკეების საკუთარი იერარქიული სია აქვს და ყველა მათგანის აზრი, რა თქმა უნდა, სუბიექტურია.

● ***რა მიგაჩნიათ არასასურველად თანამედროვე ჭადრაკის განვითარებაში?***

— მე ვხედავ ზოგიერთ არასასურველ ტენდენციას. პირველი გახლავთ ის, რომ ჭადრაკის გულშემატკივრები ჰკარგავენ ინტერესს მსოფლიო ჩემპიონატის გათამაშებისადმი, ეს იმიტომაც ხდება, რომ წამყვანი დიდოსტატები ხშირად ამ შეჯიბრებაში მონაწილეობისაგან თავს იკავებენ. მსოფლიო პირველობის ჩატარების სისტემა სულაც არ უწყობს ხელს შემოქმედებით თამაშს. მეორე პრობლემაა კომპიუტერების ჩართვა საერთაშორისო ტურნირებში. ეს ძალიან არასასურველი მოვლენაა.

● ***თქვენი აზრით, რომელი თემები უნდა გააშუქოს უპირატესად საჭადრაკო პრესამ?***

— საჭადრაკო პრესამ ყურადღება უნდა მიაქციოს, ნეგატიურად მოეკიდოს იმ ამბავს, რომ კასპაროვი უღირსად ლანძღავს აკოფიანს, შიროვს, კრამნიკსა და სხვებს. ასეთ ლანძღვა-გინებას ზოგიერთი გაზეთი რატომღაც ადგილს უთმობს, იმის ნაცვლად, რომ მაღალკვალიფიციურად გააშუქოს მეტად ძლიერი შემადგენლობის საერთაშორისო ტურნირები. რატომ უნდა ჰქონდეს საშუალება ინტერნეტში კასპაროვის საიტის თანამშრომელ მიგ გრინგარდს ასე უშვერად მოიხსენიოს მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები?

● ***რა მიზანს ვერ მიაღწიეთ თქვენს ცხოვრებაში?***

— მე ვწუხვარ, რომ ვერც ერთ მუსიკალურ ინსტრუმენტზე ვერ ვუკრავ, სათანადო დრო არა მქონდა, რომ მუსიკა უკეთ მესწავლა.

● ***რა ოცნებების შესრულებაა შემდგომში შესაძლებელი?***

— ეს ძალიან პირადი საკითხია და, ნება მომეცით, მასზე არ გიპასუხოთ.

● ***რა არის თქვენი ცხოვრების მიზანი?***

— ცხოვრება ძალზე მრავალმხრივია, რომელიმე ერთი მიზნით ვერ შემოვიფარგლებით.

● ***რას უსურვებდით თქვენს ქვეყანას, რაც კი თქვენს შესაძლებლობებს შეესაბამება?***

— მე სულ ორი წელია, რაც ისრაელში ვცხოვრობ და ჯერ არა მაქვს მორალური უფლება, რამის შეცვლა რომ მოვიწადინო.

● ***ვინ არის, თქვენი აზრით, ყველაზე გამოჩენილი პიროვნება კაცობრიობის ისტორიაში?***

— მე კაცობრიობის ისტორიას ისე კარგად არ ვიცნობ, რომ ამ კითხვაზე კომპეტენტური პასუხი გაგცეთ.

ბორის გელფანდი უკვე მრავალი წელია მსოფლიო ჩემპიონის უახლოეს „გარემოცვაში“ იმყოფება. დიახ, მსოფლიო ჩემპიონები იცვლებიან, იცვლება მსოფლიო პირველობის გათამაშების სისტემა, მაგრამ გელფანდი სულაც არ აპირებს თავის პრეტენზიებზე ხელის აღებას.

## ხსოვნა აკაკი მეიფარიანის გახსენება



**იმ ღვაწლმოსილ ადამიანთა რიგებში, რომლებმაც სამუდამოდ დაიმკვიდრეს ადგილი და სახელი ქართული სპორტის ისტორიაში, თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი წარსულში ცნობილი მოფარიკავე, 1952 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი აკაკი მეიფარიანი, რომლის გარდაცვალებიდან ხუთი წლისთავი ამ დღეებში შესრულდა.**

**ასეთი ადამიანები არა მხოლოდ საქმიანი თვისებებით და ნაამაგარით, პიროვნული ღირსებებითაც არ ეძლევა დავიწყებას. ფიზიკური კულტურისა და სპორტის ინსტიტუტში თითქმის ნახევარი საუკუნე ემსახურა ახალგაზრდა კადრებისა და მოფარიკავეთა თაობების აღზრდას, როგორც ასპირანტი, პედაგოგი, კათედრის გამგე, დეკანი. სტუდენტებისთვის ის იყო საყვარელი პედაგოგი, უფროსი მეგობარი, ხარობდა და ამაყობდა სპორტში თუ ცხოვრებაში შეგირდთა წარმატებებით. აკაკი მეიფარიანის სამწვრთნელო ქურაში გაიარეს წრთობა ცნობილმა მოფარიკავეებმა და ჩვენი საზოგადოების ღირსეულმა წარმომადგენლებმა ზ. კვერენჩხილაძემ, ჯ. გიორგაძემ, ლ. შეყრილაძემ, ი. ესაიაშვილმა, ლ. ზურაბიშვილმა და სხვ. ამ პიროვნებამ დიდი ამაგი დასდო აგრეთვე საქართველოში თანამედროვე ხუთჭიდის დანერგვა-განვითარებას. მისი, როგორც უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტის ნიჭი, განსაკუთრებით გამობრწყინდა 1956 წელს მელბურნში, როცა საბჭოთა თანამედროვე ხუთჭიდელებს ოლიმპიური თამაშების ოქროს მედალი ხვდათ წილად.**

**მადლიერი შთამომავლობა არასდროს დაივიწყებს აკაკი მეიფარიანის სახელს და დამსახურებას.**

## მნიშვნელოვანი საორბიტო გადაცემები




12 იანვარი, პარასკევი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* ფეხბურთის ლეგენდები – მარკო ვან ბასტენი (22.00), ***HTB плюс футбол.*** შოტლანდიის ჩემპიონატი (13.20, 16.00), ბრაზილიის საფეხბურთო მიმოხილვა (15.30), ევროპის ფეხბურთი (22.20), ბრაზილიის ჩემპიონატი (23.35). ***HTB плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა (13.45), ***ESPN.*** კალათბურთი. ასოციაციის დიდი საკალათბურთო ასოციაცია (9.30, 2.00), რაგბის სამყარო (17.30), ფეხბურთი. ესპანეთის საფეხბურთო ლიგა (18.30), ***EUROSPORT.*** რალი. პარიზი – დაკარი (11.30, 1.30, 3.45), ფეხბურთი (13.30, 23.30).

13 იანვარი, შაბათი

*საქართველოს ტელევიზია. საქართველოს ხმა.* ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. „იუვენტუსი“ – „ფიორენტინა“ (23.30). მე-9 არხი. ევროპის სტადიონებზე (20.00), ***HTB плюс футбол.*** ევროპის ფეხბურთი (15.00), ბრაზილიის ჩემპიონატი (15.50), ინგლისის ჩემპიონატი (18.55), საფეხბურთო არდადეგების დროს. ევროპის ჩემპიონატი. ფინალი: საფრანგეთი – იტალია (21.00), იტალიის ან ესპანეთის ჩემპიონატის მატჩი (23.25, 1.35). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (7.00, 7.30, 20.00, 20.30). ცხენოსნობა. დაიჯესტი (13.00), აზიის ფეხბურთი (4.30). ***EUROSPORT.*** რალი. პარიზი-დაკარი (11.30, 1.30, 4.15), ფეხბურთი (23.30).

14 იანვარი, კვირა

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* „ჟილეტ-სპორტი“ (19.00), სპორტული პროგრამა (19.20), ***HTB плюс футбол.*** ინგლისის (13.15), იტალიის (23.25), ესპანეთის (16.45, 1.35), საფრანგეთის (19.15) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***HTB плюс спорт.*** კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (14.40), კატერებით რბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (19.30). ***ESPN.*** კალათბურთი. საკალათბურთო ასოციაციის გუნდების ჩემპიონატი (7.30), იტალიის ჩემპიონატი (12.30, 21.00), ესპანეთის საფეხბურთო ლიგა (2.00). ***EUROSPORT.*** რალი. თბილისი – დაკარი (11.30, 1.30, 3.45). ხელბურთი. ოთხთა ეროვნული საერთაშორისო ტურნირი (23.30). ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია ჩემპიონატი (0.30), „ყველა სპორტული შეჯიბრებების, ყველაზე საუკეთესო“ (2.15).



## კროსვორდი № 3

**თარაზულად:** 3. 60-იანი წლების ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, მარჯვენა შუამარბი, 7. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სპორტკლუბი (აბრევიატურა), 8. ცნობილი ჩინელი მოციგურავე ქალი, 10. ფრანგი ფეხბურთელი, 12. ველოსტადიონი, 13. ლიბერიელი ფეხბურთელი, 15. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 17. ცნობილი რუმინელი საფეხბურთო მწვრთნელი, 19. ცნობილი ქართველი ხუთჭიდელი, 20. ბრაზილიის საფეხბურთო კლუბი, 23. ... კრამლინგი, 25. საფეხბურთო მწვრთნელი... ჰოჯსონი, 26. სპორტული დღესასწაული ანუ... 27. შოტლანდიელი ფეხბურთელი, 28. წარსულში სახელგანთქმული ამერიკელი მოკრივე.

**შვეულად:** 1. ნაციონალური სკალათბურთო ლიგა, 2. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 4. მდგომარეობა, როდესაც ბურთი სპორტული მოედნის გარეთ გადის, 5. წარსულში სახელგანთქმული ქართველი ტყვიის მსროლელი ვაჟი, 6. რუმინელი ფეხბურთელი, ფორვარდი, 9. ... ზეელერი, 11. თბილისის საფეხბურთო კლუბი, 14. ტერმინი ჩოგბურთში, 16. ზუგდიდის საფეხბურთო კლუბი, 18. სპორტული საქონლის მწარმოებელი ფირმა, 20. სამხრეთკორეელი ფეხბურთელი, 21. ქუთაისის სარაგბო კლუბი, 22. კონტინენტი, 23. ცნობილი ესპანელი ფეხბურთელი 60-იან წლებში, ფორვარდი, 24. ყირგიზეთის საფეხბურთო კლუბი.

**№2 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 9. „არარატი“, 10. ათენი. 11. „გალათასარაი“. 14. ილი, 15. ხოსტა. 19. კორტი. 20. აფრა. 23. მბო. 27. კროსი. 28. „ბურევესტნიკი“. **შვეულად:** 1. „ირაო“, 2. „აია“, 3. „ალაზანი“, 4. ჰეიშვილი, 5. „სარაგოსა“, 6. ფილა, 7. ალტაი, 8. ვეა, 12. „ატლანტა“, 13. ლახტი, 16. ტოკიო, 17. ფორვარდი, 18. დიმასი, 21. „ფერარი“, 22. გუმბა. 24. ბოისა. 25. ნავი, 26. „ზანა“.



**საქართველოს მოჭიდავეთა რეგისტრირებული საზოგადოება „რაინდი“ თანაუგრძნობს ამავე საზოგადოების წევრს ავთანდილ კეზევაძეს მამის გარდაცვალების გამო.**

**მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე**

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.